ხმას ვაძლევთ სამშობლოს, პარტიას, მშვიდობას!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 57 (18899) ორშაბათი, 5 მარტი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

კვირას, 1984 წლის 4 მარტს, გაიმართა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. არჩევნები მიმდინარეობდა ადგილობრივი დროით დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

ამავე დღეს მოსკოვში, კავშირების სახლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ჩვენს ქვეყანაში ხმის მიცემის მიმდინარეობის საკითხი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული მონაცემებით, დღის 12 საათისათვის მიცემული ჰქონდა ხმა ამომრჩეველთა 89,42 პროცენტს, ხოლო საღამოს 6 საათისათვის — 99,59 პროცენტს. საღამოს 6 საათისათვის კენჭისყრაში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული: რუსეთის სფს რესპუბლიკაში — ამომრჩეველთა 99,82 პროცენტს, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 99,93 პროცენტს, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 99,82 პროცენტს, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 99,97 პროცენტს, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 99,87 პროცენტს, საქართველოს სს რესპუბლიკაში — 99,92 პროცენტს, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 99,99 პროცენტს, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 99,87 პროცენტს, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 99,93 პროცენტს, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 99,67 პროცენტს, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 99,97 პროცენტს, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 99,76 პროცენტს, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 99,88 პროცენტს, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 99,91 პროცენტს, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 99,95 პროცენტს.

საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მიმდინარეობდა ორგანიზებულად, ამომრჩეველთა დიდი პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში. არჩევნებმა კვლავ მკაფიოდ დაადასტურა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა, სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება.

(საქინფორმი).

ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის

მოსკოვი, 4 მარტი

ეს დღე განსაკუთრებით ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატებს რომ ვირჩევთ, ისევე და ისევ თავს ვგრძნობთ ჩვენი დიადი ქვეყნის სრულუფლებიან და პასუხისმგებელ ბატონ-პატრონებად, პრაქტიკულად შევიმეცნებთ სოციალისტური სახალხო ხელისუფლების არსს.

[illegible]

...თავში, ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს ღრმაშინაარსიან და მკაფიო სიტყვაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ გასული დროის მანძილზე ქვეყნის მიერ გადადგმული ფართო, გულდაჯერებული ნაბიჯი თვალსაჩინოდ ჩანს მოსკოვის მაგალითით. წარმატებით სრულდება მისი კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები. ვადამდე შესრულდა მეათე ხუთწლედისა და მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის დავალებანი მრეწველობაში. დედაქალაქის რუკაზე გაჩნდა ახალი დიდი საცხოვრებელი რაიონები. საექსპლოატაციოდ გადაეცა 106 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულება-

[illegible]

სურათზე: ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო საარჩევნო უბანში.

სურათზე: ამხანაგი ნ. ა. ტიხონოვი საარჩევნო უბანში.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქტას.საქინფორმის ტელეფოტო.

ერთსულოვანი დარაზმულობით

თბილისი, 4 მარტი

[illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

კოსმონავტთა რადიოგრამა საბჭოთა ადამიანებს

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს, 4 მარტს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს „სალიუტ-7"-„სოიუზ ტ-10"-„პროგრეს-19" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის კოსმოსში მყოფი ეკიპაჟის წევრები მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით უერთდებიან ყველა ამომრჩეველს, რომლებიც ხმას აძლევენ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს — კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ამ საზეიმო დღეს ჩვენ ვეუბნებით [illegible] მიანთან ერთად ხმას ვაძლევთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს [illegible] საშინაო და საგარეო [illegible] ცენტრალური კომიტეტს, მის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მეთაურობით, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

„სალიუტ-7"-„სოიუზ ტ-10"-„პროგრეს-19" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ეკიპაჟი — ლ. დ. კიზიმი, ვ. ა. სოლოვიოვი, ო. ი. ატკოვი.

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულ ლენინურ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ვიმუშაოთ უკეთ

კარში განწყობილებით მოვიდნენ მიტინგზე თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მუშაკები. გასული წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის მათ პირველი ადგილი დაიკავეს.

— კანონიერი სიამაყის გრძნობას ბადებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებსშუა პერიოდში მომხდარი ცვლილებები, — თქვა მიტინგზე გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა რ. ნიკურაძემ. — ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, ეს მხოლოდ დიდი მუშაობის დასაწყისია. სწორედ ასე აღვიქვამთ იმას, რომ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოვიპოვეთ.

— ჩვენი მიზანია უკეთ ვიმუშაოთ, — ხაზი გაუსვა მიტინგზე პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. მუმლაძემ. ტრანსპორტის ზუსტ მუშაობაზეა დამოკიდებული ჩვენი მშრომელების განწყობილება, ხოლო ამ უკანასკნელზე — შრომის ნაყოფიერება. დღეს დედაქალაქში მოქმედებს სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის ორასი მარშრუტი. ზუსტად წარვმართოთ მუშაობა თითოეულ მათგანზე — აი ეს არის ჩვენი ამოცანა. და ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ მისი წარმატებული გადაწყვეტისათვის.

ასეთი იყო მიტინგის ყველა სხვა მონაწილის აზრი, რომელიც აისახა ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში.

მიწათმოქმედთა მიჯნები

— ძალზე სწორად თქვა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მიწათმოქმედთა შრომის შესახებ, ამასთან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ძნელ პირობებშიც კი კარგად ორგანიზებულ, თავდადებულ მუშაობას თავისი ნაყოფი მოაქვს, — ასე დაიწყო თავისი სიტყვა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მიტინგზე გამოსვლისას მოწინავე მექანიზატორმა იოსებ ბადოშვილმა. — წელს თოვლიანი ზამთარი იყო, მაგრამ ამან არ შეუშლია ხელი დაგვეწყო საგაზაფხულო თესვა. შერის თესვა უკვე დამთავრდა. მე და ჩემმა ამხანაგმა ვლადიმერ მამისაშვილმა წინა ილოობაზე ჰექტარზე 35 ცენტნერი მარცვლეული ავიღეთ. მიმდინარე წლის მიჯნაა 40 ცენტნერი.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს წელს კოლმეურნეობის სხვა მშრომელებმაც. (საქინფორმი)

ხალხისათვის, სამშობლოს სადიდებლად

სამართლიანი სიამაყის გრძნობით ძგერს თითოეული საბჭოთა მშრომელის გული, როცა გაეცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე. ეს არის საპროგრამო...

[illegible]

შორისო ცხოვრების სირთულეებმა გვაიძულა გვერიანი რესურსები მოგვეხმარებინა ქვეყნის უშიშროების განმტკიცებასთან დაკავშირებული საჭიროებისათვის. მაგრამ ამ პირობებშიც კი სოციალური პროგრამის შეკვეცა აზრადაც არ მოგვსვლია. მთელი ჩვენი მუშაობის მიზანი ხომ საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაა".

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის ეს სიტყვები მეშახტეებისათვის სრულიად გასაგებია. პარტიის მუშათა კლასისადმი ზრუნვას ტყიბულელი მეშახტეები თავდადებული შრომით, გაორკეცებული ენერგიით ვუპასუხებთ...

[illegible]

...ბით. მასტში გამლილია სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „დამატებითი პარტიული დავალება — პარტიული შემართება!" ჩვენი გადაწყვეტილებაა წლიური დავალება ვადამდე შევასრულოთ და გეგმის გადამეტებით ექვსი ათასი ტონა საკოქე ქვანახშირი ამოვიღოთ. შრომის ნაყოფიერებას გეგმის გადამეტებით 1,5 პროცენტით გავზრდით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულებას გეგმის დამატებით 0,5 პროცენტით შევამცირებთ.

ც. უფლისაშვილი,
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველი.

ვამრავლოთ მიღწეული

მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმული სიტყვა ჩვენი პარტიისა და მთავრობის იმ თანმიმდევრული კურსის ნათელი დადასტურებაა, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცება.

დიდი გარდაქმნები მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ გასულ პერიოდში. რა თქმა უნდა, მე, როგორც სოფლის მეურნეობის მუშაკს, განსაკუთრებით მახარებს, რომ ამ წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი დარგის, სახელდობრ, მეცხოველეობის განვითარებისათვის, რომლის პროდუქტიულობა შესამჩნევად გაიზარდა. ჩვენი ამოცანაა განვამტკიცოთ და ვამრავლოთ ეს მიღწევები ხალხის საკეთილდღეოდ.

წელს კომპლექსის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს დაამზადონ 2800 ტონა ხორცი, რაც გაცილებით მეტია შარშანდელზე. ამისათვის კი უნდა უზრუნველვყოთ მტკიცე საკვები ბაზა. ახლა მეურნეობაში ოცი ათას სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია, აქედან — ხუთი ათასი ძროხა. ასე რომ, საკვებწარმოებლებს დიდი საზრუნავი აქვთ. უწინარეს ყოვლისა, ვიზრუნებთ ტექნიკისათვის. ასზე მეტი ტრაქტორი, ოცდაათამდე კომბაინი, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები უკვე მზად არის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის.

ა. დოლმაზაშვილი,
წნორის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორი.

...დავამშვენოთ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქალაქები და სოფლები. ეს კომუნისტების უთუო, მაგრამ არა ერთადერთი საზრუნავია. ადამიანის ცხოვრების პირობებს რომ გარდავქმნით, ამავე დროს ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი იდეურ-ზნეობრივი ამაღლებისათვის. ცხადია, ადამიანთა სულიერი განვითარების, მათი სოციალისტური აღზრდისათვის დიდი მუშაობის გაუწევლად ჩვენ თავს ვერ გავართმევთ მომწიფებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანებს", — აღნიშნა კერძოდ თავის გამოსვლაში კ. უ. ჩერნენკომ. როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, რწმუნდები, რომ პარტიის მთავარ მიზნად რჩება ადამიანი. მისი იდეურ-ზნეობრივი ფორმირება. და ვინ, თუ არა საბჭოთა კულტურის მოღვაწეებმა და მათ შორის მუსიკოსებმა, უნდა იზრუნონ ჩვენი თანამედროვის სულიერი ჩამოყალიბებისათვის, მისი მოქალაქეობრივი და ცხოვრებისეული პოზიციის დამკვიდრებისათვის! მუსიკა ადამიანებს უნდა ანიჭებდეს სიხარულს, აცნობდეს ცხოვრების სიმართლეს, მოუწოდებდეს მათ კეთილი საქმეებისათვის.

დღეს თითოეული ჩვენგანი ისახავს ახალ, უფრო პასუხსაგებ ამოცანებს. საბჭოთა ადამიანებთან, მათ გმირულ შრომასთან, სიხარულთან და სიძნელეებთან მუდმივი კავშირის გრძნობა განსაზღვრავს ჩვენი შემოქმედების პოზიციას. ვისწრაფვით, რომ ჩვენს მიერ შექმნილი მუსიკა დიდი შინაარსით იყოს აღსავსე. დარწმუნებული ვარ, ასეთი ხელოვნება ყოველთვის იქნება დიდი დასაყრდენი აღმშენებლობითს შრომაში.

ა. მაჭავარიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი.

ვიტყვით და შევასრულებთ

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ტყიბულელ მეშახტეთა ყურადღების ცენტრშია. ჩვენ მთლიანად ვიწონებთ და ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა, რომ „გასულ ხუთწლედში საერთა-

[illegible]

აღნიშნეს დამკვრელური შრომით

„კომუნისტის" კორესპონდენტები გვატყობინებენ

● დროს გაუსწრეს

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. აქ მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან, როგორც წესი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო დავალებანი. ამჟამადაც, გაერთიანების კოლექტივმა თავდადებით იშრომა და თებერვალში გეგმის გადამეტებით ათასობით მანეთის პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის ბევრმა მათგანმა პირადი ვალდებულებანი იკისრა და შეასრულა კიდეც. აქ მომუშავე 54 მქსოველმა პირველი კვარტალის, ხოლო 30-მა მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა შეასრულეს. ხუთწლედის გეგმის მთლიანად შესრულება სამშობლოს დღეს 9 მუშამ და სამმა ბრიგადამ უძღვნა.

● სიტყვა არ გატეხეს

მიმდინარე წლის პირველ დღეებიდანვე თბილისის წისქვილქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა შეენარჩუნებინა მუშაობის სწრაფი ტემპი, უფრო აქტიურად განევითარებინა პოზიტიური ტენდენციები და სტაბილური ხასიათი მიეცა მიღწეული წარმატებისათვის. მიიღწია კიდეც მიზანს. ამაზე ნათლად მეტყველებს იანვრის მაჩვენებლები. მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 107,7 პროცენტით, მოგების მიღების დავალება — 112,8 პროცენტით.

თებერვალში საწარმოს კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა მუშაობის ტემპი. დღეს საწარმოს კოლექტივმა შეასრულა დაფასოებული ფქვილის გამოშვების პირველი კვარტალის გეგმა. გეგმის გადამეტებით თბილისისა და რუსთავის მშრომელებს ქარხანა 450 ტონა დაფასოებულ ფქვილს მიაწვდის.

● ქარხნის ახალი პროდუქცია

ბათუმი. მექანიკურმა ქარხანამ წარმატებით დაიწყო 1984 წელი. იანვარში აქ დავალებასთან შედარებით 80 ათასი მანეთით მეტი ღირებულობის პროდუქცია გამოუშვეს. თებერვალშიც მნიშვნელოვნად უსწრებენ გრაფიკს. საწარმოში სახალხო მოხმარების საგნების გამოშვებაში სიახლეა: აითვისეს და უკვე მასობრივად უშვებენ „ჟიგულის" ზეთის ფილტრებს. იგი ძირითადად ნარჩენებისაგან მზადდება. ეს ფილტრები ბამბის ქსოვილის 9 ფენისაგან მზადდება და ვარგისია, ვიდრე მანქანა 20 ათას კილომეტრს გაირბენს. მისი წინამორბედი ფილტრი „ჟიგულს" მხოლოდ 10 ათას კილომეტრ მანძილზე ჰყოფნიდა.

● ვალდებულება შეასრულეს

ქუთაისი. ქალაქის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების შრომისმოყვარე კოლექტივმა, რომელმაც 1983 წლის შედეგების მიხედვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა, მიმდინარე წლის დასაწყისში, თავისი შესაძლებლობანი რომ გაანალიზა, ვალდებულება იკისრა ყველა სახეობის ტვირთიზიდვის პირველი ორთვე-ნახევრის გეგმა შეესრულებინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — 4 მარტისათვის.

ავტოტრანსპორტელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. მარტო ორი თვის მონაცემებით, ტვირთზიდვის გეგმა შესრულებულია 118,2 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 118,1 პროცენტით, მგზავრთა გადაყვანის გეგმა — 119 პროცენტით...

[illegible]

● დაჩქარებით
მაღალი ტემპით

[illegible]

ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის

(დასასრული)

ურნეობის ყველა დარგის სწრაფი და უწყვეტი განახლების უზრუნველყოფას, — თქვა მეცნიერმა.— ამ კარდინალური პრობლემის გადაწყვეტისათვის ბევრი რამ შეუძლიათ და კიდეც უნდა გააკეთონ მოსკოვის სამეცნიერო ორგანიზაციებმა. ჩვენ ათასზე მეტი ასეთი ორგანიზაცია გვაქვს, და ეს უდიდესი ძალაა!

არჩევნების დღეს ყველა გზას საარჩევნო უბანში მივყავართ, და სავსებით ბუნებრივია, რომ მათ გადაკვეთაზე ბევრი ღირსშესანიშნავი შეხვედრა ხდება. გოლიანოვის მიკრორაიონში მცხოვრები პედაგოგები და მათი ყოფილი მოსწავლეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მშობლიური № 370 სკოლის კედლებში, სადაც განლაგებულია № 108 საარჩევნო უბანი. ახალგაზრდა ამომრჩეველთა შორის, რომლებმაც პირველად მოიხადეს თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა, იყვნენ გასული წლის კურსდამთავრებულებიც, რომლებიც თითქმის სრული შემადგენლობით შეუერწყნენ „მოსკოვის ელექტრომილაკების ქარხნის" გაერთიანების მუშათა კოლექტივს. ხმის მიცემის შემდეგ მათმა დამრიგებელმა — მათემატიკის მასწავლებელმა ნ. იაშინამ თქვა:

— „მოსკოვის ელექტრომილაკების ქარხნის" გაერთიანებასთან დიდი ხნის და მტკიცე ურთიერთობა გვაქვს. ქარხანა „ქრომატრონის" კოლექტივი შეფობას უწევს სკოლას და გვეხმარება გავაძლიეროთ საშუალო განათლების პრაქტიკული მიზანმიმართულება. მიკრორაიონში შეფების დახმარებით იქმნება სასწავლო-აღმზრდელობით კომპლექსი, რომელშიც შედის ჩვენი სკოლა, სკოლამდელთა დაწესებულებანი, ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების სადგური. მომავალში კომპლექსში შევა აგრეთვე სპორტული სექციები, ნორჩ ნატურალისტთა სადგური, ახალგაზრდული კლუბები ინტერესების მიხედვით. თვითონ ბავშვებსაც, ბევრ მშობელსაც, ჩვენც, პედაგოგებს, გვინდა, რომ ახალგაზრდობას უკვე 16 წლიდან შესაძლებლობა ჰქონდეს სრულფასოვნად, ასაკის გამო შეღავათის გაუწევლად იმუშაოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. ერთობ სწორად თქვა კონსტანტინე უსტინის ძემ: მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ანიჭებს მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებას!

პედაგოგმა აღნიშნა, თუ რა ფართო რეზონანსი მოიპოვა კუიბიშევის რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტმა სკოლის რეფორმის შესახებ. მის განხილვაში მონაწილეობდა რაიონის თითქმის ასი ათასი მშრომელი, ყოველმა მეათე კაცმა შეიტანა თავისი შენიშვნები და წინადადებანი: განა ეს არ არის საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტაში ნამდვილი დემოკრატიის მაგალითი!

— დღეს განსაკუთრებული დღეა ჩემთვის — პირველად ვაძლევ ხმას, — გაგვიზიარა სიხარული მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა ალექსანდრე პუგაჩმა. — სიხარულით მივიღე ბიულეტენი, რომელშიც ჩაწერილი იყო კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სახელი, მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას კომუნისტური მშენებლობის საქმეს რომ ახმარს. სამუდამოდ დამახსოვრდა მისი სიტყვები: უნდა მოვამზადოთ ისეთი ახალგაზრდობა, რომელიც არ შედრკება, არ მოიხრება ქვეყნის, სოციალიზმისა და მშვიდობის ბედისათვის ისტორიული პასუხისმგებლობის ტვირთქვეშ. ჩემი მეგობრებისა და თანატოლების სახელით შემიძლია ვთქვა: მხრები და მკლავები ძლიერი გვაქვს და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ღირსეულად ვატაროთ უფროსი თაობებისგან მიღებული ბრძოლისა და გამარჯვების ესტაფეტა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დაშორებულ კუთხეებში ღირსეულად შრომობენ ჩვენი ინსტიტუტის, ამ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის განხორციელებაში. ჩვენი დევიზია ვიყოთ იქ, სადაც მეტი სიძნელეებია.

არჩევნების დღეს განსაკუთრებით საგრძნობლად გრძნობ საბჭოთა დედაქალაქის გიგანტურ მასშტაბს. კენჭისყრაში თითქმის 6,5 მილიონი მოსკოველი მონაწილეობს. ქალაქში შექმნილია კავშირის საბჭოს არჩევნების 23 საარჩევნო ოლქი. და მთელი მოსკოვი, სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს მთავარი ქალაქი, გახდა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ნომერ ერთი საარჩევნო ოლქი. აქ კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი.

ე. შირიაევმა საარჩევნო უბანში თან მოიტანა ძველი, გაცრეცილი გაზეთი, რომელშიც დაბეჭდილია რეპორტაჟი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი არჩევნების შესახებ. პერსონალური პენსიონერი, „ფრეზერის" საქარხნო მუზეუმის გამგე განსაკუთრებული სიყვარულით და სათუთად ეკიდება დედაქალაქის ისტორიას.

— ის ღირსსახსოვარი დღე, 1937 წლის 12 დეკემბერი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია,— თქვა ე. შირიაევმა. — მთელი ჩვენი დიდი მუშათა კოლექტივი მოვიდა დილაადრიან საარჩევნო უბანში. შუა ზამთარი იყო, ყინავდა, ჯერ წესიერად არ გათენებულიყო, ქუჩაში კი მხიარული ჟრიამული ისმოდა. აი, მოისმინეთ, რას წერდა ამ დღის შესახებ გაზეთი, ჩვენი უბანი ხომ ისტორიაში შევიდა...

ჩვენი თანამოსაუბრე სათვალეს იკეთებს და ღიმილით კითხულობს: „აი კარაჩაროვის მონდორიც — ყველაზე მოშორებული უბანი. ეს განსაკუთრებული უბანია. იგი მდებარეობს ქარხანა „ფრეზერის" მახლობლად. აქ ყველა ამომრჩეველი ერთ საწარმოში მუშაობს. მივდივართ ახალი სკოლისაკენ".

— სკოლა თვითონ ავაშენეთ,— გვიხსნის ე. შირიაევი, — სახალხო მშენებლობის მეთოდით, შენობა სულ ოთხმოც დღეში ავაგეთ— ეს იმ დროისათვის რეკორდი იყო! მაშინ დასახლებაში იგი ყველაზე თვალსაჩინო შენობა გახლდათ. სწორედ ამიტომ მოვაწყვეთ იქ საარჩევნო უბანი. ვამაყობდით, თავს ნამდვილ ბატონ-პატრონად ვგრძნობდით: ჩვენ ირგვლივ ყველაფერი — თვითონ ქარხანაც, დასახლებაც ჩვენი ხელით იყო შექმნილი. და აი, მოვედით ჩვენი სახალხო ხელისუფლების ასარჩევად! მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისას თითოეული ჩვენგანი გრძნობდა ერთიანობას მილიონობით ასეთივე თანასწორუფლებიან, თავისუფალ ადამიანთან. და ამიტომ გაზეთს მეორე დღეს სრული უფლება ჰქონდა დაეწერა: „ამომრჩეველთა ასეთი ერთსულოვანი ხმის მიცემა, ასეთი აქტიურობა ქვეყნად ჯერ არავის უნახავს". მაშინ, 1937 წელს, ეს პირველად ხდებოდა. დღეს მეთერთმეტედ ვირჩევ ჩვენს უმაღლეს სახალხო ხელისუფლებას, მაგრამ ისევ ისე ვღელავ, და ისევ ისე მიხარია...

ახლა ე. შირიაევი, რომელმაც განვლო გზა მუშიდან ქარხნის დირექტორის მოადგილემდე, ცხოვრობს ილიჩის მოედანზე მდებარე სახლში. და ამიტომ ხმას უკვე ქარხნის დასახლებაში აღარ აძლევს. თუმცა კარაჩაროვის მონდორი დიდი ხანია განაპირა დასახლება კი არა, ტიპური ქალაქის მიკრორაიონია. გაფართოვდა დედაქალაქის საზღვრები. ვოლგოგრადის რაიონში „ფრეზერის" უკან აღმართა ახალი საცხოვრებელი მასივები, მათ შორის ვიხინო, სადაც ასი ათასი კაცი ცხოვრობს. და „ფრეზერი" აქ ერთადერთი საწარმო როდია. მთელ ქვეყანაში ცნობილია სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ქარხანა „ჩარხაგრეგატი" და კარაჩაროვის მექანიკური ქარხანა, ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი რკინაბეტონის კონსტრუქციების კომბინატი — ყველას ვერ ჩამოთვლი.

— სწორედ ხვალინდელი დღისადმი ჩვენს ამ მუდმივ მისწრაფებას მივეცი დღეს ხმა, — თქვა საუბრის დასასრულ ვეტერანმა.

კუნცევოს საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი.

ეს-ესაა ხმა მისცა უხუცესმა კომუნისტმა, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანმა ქ. გ. რიაბომ. ბალტიელი მეზღვაური, იგი 1917 წელს დანიშნეს პეტროგრადის მთავარი ტელეგრაფის კომისრად, გადასცემდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს, უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, რომლებსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი.

— საბჭოთა სახელმწიფო, — თქვა კარლო რიაბომ — იშვა სიტყვით „ზავი". ზავის დეკრეტი — ახალგაზრდა საბჭოების რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი კანონი — მოგვიწოდებდა მოგვესპო ომები ყველა ხანაში. წილად მხვდა ბედნიერება ეს ისტორიული დოკუმენტი ტელეგრაფით გადამეცა ქვეყნის ყველა კუთხეში. ვემსახურებოდი აგრეთვე პირდაპირი ხაზით ვლადიმერ ილიას ძის საუბარს. განსაკუთრებით დამახსოვრდა რთული, საგანგაშო დღეები, როცა ლენინს მოლაპარაკება ჰქონდა საბჭოთა დელეგაციასთან. ეს დელეგაცია იმყოფებოდა ბრესტ-ლიტოვსკში, სადაც ხელი მოაწერეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებას...

ღრმად სიმბოლურია, რომ ადამიანმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე გადასცემდა ზავის შესახებ ლენინის დეკრეტის ტექსტს, 1945-ში დაწერა დამარცხებული რაიხსტაგის კედელზე: „განვვლე გზა სტალინგრადიდან ფაშისტთა ბუნაგამდე — ბერლინამდე. პოლკოვნიკი კ. რიაბო".

— ჩვენთვის, ვეტერანებისათვის, ძვირფასია მშობლიური ხალხის მშვიდობა და ბედნიერება, რომელიც ასეთ ფასად მოვიპოვეთ, — ხაზგასმით აღნიშნა კ. რიაბომ. — სულითა და გულით ვიწონებთ პარტიის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რომლის ურყეობა კვლავ დაადასტურა ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგმა ჩერნენკომ. მისი სიტყვა სიბრძნისა და სიმტკიცის, რეალიზმისა და მშვიდობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის ნიმუშია. დაე, ყურად იღოს დასავლეთის ზოგიერთმა უზომოდ ქედფიცხელმა პოლიტიკოსმა კონსტანტინე უსტინის ძის სიტყვები იმის შესახებ, რომ სამხედრო ავანტიურების ვერც ერთი მოყვარული ვერ წაგვასწრებს მოუმზადებელს, არც ერთ პოტენციურ აგრესორს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ თავიდან აიცილებს შემმუსვრელ საპასუხო დარტყმას.

თითქმის ორმოცი წელია დედაქალაქში მოჰყავს მძიმე სატვირთო მატარებლები მოსკოვის სახარისხებელი დეპოს მემანქანეს ი. სურკოვს. და თუმცა დღევანდელი რეისი მაქსიმალურად შემჭიდროებული გრაფიკით სრულდებოდა, მაგრამ ივანე პეტრეს ძე ყოველწუთს მოუთმენლად დაჰყურებდა საათს, ძალიან უნდოდა ამ დღეს საარჩევნო უბანში ოჯახთან ერთად მისულიყო, როგორც შეთანხმდნენ, — ქალიშვილი მარინე ხომ პირველად მონაწილეობს არჩევნებში. აი ლოკომოტივის ფანჯარაში გამოჩნდა პეროვის ახალმშენებლობათა მრავალსართულიანი შენობები, სადაც აქ არის ის სახლიც, რომელშიც სურკოვებმა ამ დღეებში ახალმოსახლეობა იზეიმეს...

მემანქანეს უკვე საარჩევნო უბანში შევხვდით. ტყუილად ღელავდა: მთელი ოჯახი შეკრებილიყო. მოსკოვის ლოკომოტივსარემონტო ქარხნის კლუბში მოთავსებულ საარჩევნო უბანში ხმის მიცემა ერთსულოვნად მიმდინარეობს. პეროვის საარჩევნო ოლქის დეპუტატად აქ კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი.

— უბნისაკენ სხვადასხვა მხრიდან მოვდიოდით, ერთმანეთს კი ზუსტად დანიშნულ დროზე შევხვდით, — იღიმება კმაყოფილი ივანე პეტრეს ძე. — სხვანაირად არც შეიძლება, ჩვენს ოჯახში ყველამ იცის: სიზუსტე რკინიგზელთა მუშაობის მთავარი მაჩვენებელია. ცოლი — რიტა გრიგოლის ასული — დეპოს უფროსი ეკონომისტია, ქალიშვილი კი რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტში სწავლობს. სწორედ ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრი პირადი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შესახებ ორგზის მომიწია ანგარიშის ჩაბარება — კოლექტივშიც, შინაც.

— ჩემმა მეუღლემ გვარიანად იმუშავა, — ჩაება საუბარში რიტა გრიგოლის ასული. — მაგრამ არც ამხანაგები ჩამორჩნენ მას. როგორც ეკონომისტს ამის დამტკიცება შემიძლია ციფრების ენით. მოსკოვის სახარისხებელი დეპოს სარემონტო ქვეგანაყოფების 300 მოწინავე მემანქანე და მუშა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი გადიდებისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისათვის გაშლილი შეჯიბრების თაოსანი გახდა. რკინიგზელთა სიტყვა და საქმე ერთია. ხუთი ათასი ტონა ტვირთი გადაზიდეს ნორმის გადამეტებით მემანქანეების ი. შილინის, ვ. რატჩენკოს, ა. კოზლოვის ბრიგადებმა. ხოლო როგორც ქალსა და დედას მინდა დავძინო, რომ ჩვენი კოლექტივის ყველა საქმე პარტიისადმი გულწრფელი მადლიერების გამოხატულებაა იმ დიდი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი იჩენს მშრომელი ადამიანის მიმართ.

სურკოვების ოჯახის ყველაზე უმცროსმა ამომრჩეველმა — მარინემ ინტერვიუსაგან თავი შეიკავა: მეტად დიდი იყო მისი მღელვარება. თქვა მხოლოდ, რომ ეცდება არ შეარცხვინოს საგვარეულო და პროფესიული ღირსება. სურკოვებისათვის ამ ცნებებს თანაბარი მნიშვნელობა აქვთ.

პროლეტართა საარჩევნო ოლქის მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავიანთ დეპუტატობის კანდიდატად სოციალისტური შრომის გმირი, № 1 საკისრის სახელმწიფო ქარხნის მეხეხავე ნ. მ. მოტოვა. საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველი მოვიდა მისი თანამოსაქმე ამხანაგი — მოსკოვის სახელგანთქმული საწარმოს ელექტრომონტიორი ა. ნ. ალიმპიევი.

— სიამაყით ვაძლევ ხმას ჩვენს მუშა კანდიდატს, — თქვა ალექსანდრე ალიმპიევმა. — ოცდაათ წელზე მეტია ნინო მიხეილის ასული თავის ნიჭს, შრომისმოყვარეობას ახმარს საყვარელ საქმეს. მის გვერდით არ შეიძლება მთელი უკუგებით არ იმუშაო. მოწინავე მუშამ ოცდაათზე მეტი მოსწავლე აღზარდა. და თითოეული მათგანი [illegible] გაუთანაბრდა დამრიგებელს, არამედ სახელი მოიხვეჭა როგორც კარგმა საზოგადო მოღვაწემ, კოლექტივის აქტიურმა წევრმა, ესეც სკოლაა ნ. მოტოვასი, რომელიც განასახიერებს ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალის — საბჭოთა მუშათა კლასის საუკეთესო თვისებებს.

ყველაზე ღირსეული, ყველაზე საუკეთესონი დაასახელეს მოსკოველებმა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავიანთ კანდიდატებად. მათ შორის, ვისაც დიდი ნდობა გამოუცხადეს, არიან წარჩინებული მშენებელი ნიკოლოზ ზლობინი და მეხავეთა ბრიგადირი ვიქტორ პუშკარიოვი, მასწავლებელი ტატიანა ბოკარევა და ოპერის მომღერალი თამარ სინიავსკაია, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ფიზიკოსი ნიკოლოზ ბასოვი და მწერალი გიორგი მარკოვი. ისინი სულ სხვადასხვა სფეროში მუშაობენ, მიზანი კი ერთი აქვთ — ხალხის კეთილდღეობა და ბედნიერება.

შუადღისათვის მოსკოვში ხმა მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით 90 პროცენტმა. (საკდესი).

სურათებზე: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ჯავის № 1 საარჩევნო უბანი. იმათ შორის, ვინც 4 მარტს აქ მოვიდა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მისაცემად იყვნენ (მარცხნიდან): მეცხოველე ვიქტორ კოჩიევი, მინერალური წყლების ქარხნის მუშა ვინერა ჯიჯოევა, ომისა და შრომის ვეტერანი აკიმ ხანაკოევი; ამომრჩევლები ხმის მიცემის დროს გორის რაიონის სოფელ დიდი მეჯვრისხევის № 80 საარჩევნო უბანში (ქვემოთ).

ლ. ბუსოვის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ვ. ბენგიურის ფოტო.

ერთსულოვანი დარაზმულობით

(დასასრული)

მოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, აქ ხშირად იბადება პატრიოტული თაოსნობანი და ინიციატივები. საარჩევნო უბანში, რომელიც საწარმოს კულტურის სახლშია, ამაყად მოვიდა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ბევრი მუშა. ერთი თვის წინათ საწარმოს ასობით მშრომელმა, ათობით საწარმოო ბრიგადამ პირობა დადო, რომ პირველი კვარტალის პირად საწარმოო დავალებებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს შეასრულებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის და სიტყვა არც გაუტეხიათ.

თუ საქართველოს სამართლიანად უწოდებენ ექსპერიმენტების რესპუბლიკას, მაშინ თბილისის ეს რაიონი სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ექსპერიმენტების რაიონად. აქ რამდენიმე წლის წინათ ჩასახული კეთილი თაოსნობა, რომლის მიზანია სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა. მაგალითად, რაიონის საწარმოთა უმრავლესობა მეორეული ნედლეულისაგან უშვებს ჩინებულ სახალხო მოხმარების საქონელს, უფრო ზუსტი გახდა რაიონის ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა. „საბურთალოს რაიონიც" სახელწოდება, რომელიც ქალაქის ახალ — მეათე რაიონს ეწოდა, ყოველი მკვიდრი თბილისელის მოგონებებს იწვევს წარსულის შესახებ, მაგალითად, ომისა და შრომის ვეტერანს შალვა კაციტაძეს ახსოვს მოედანზე, რომლიდანაც ოდესღაც საქართველოს სამხედრო გზა იწყებოდა, ტროლეიბუსის ხაზს რომ ჭიმავდნენ. რა სიხარულს გვრიდა ეს ქალაქის გარეუბანში მიყუჟული უგეგმოდ აშენებული პატარა სახლების მცხოვრებთ! და აბა როგორ არ უნდა გაიხსენო ეს დღეს, როცა მთელ ოჯახთან ერთად მან ჩაუარა ახალ მრავალსართულიან შენობებს და მივიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც საარჩევნო უბანი მდებარეობს.

— ჩვენც მაღლივ სახლში ვცხოვრობთ, მეთხუთმეტე სართულზე. მთელი საბურთალო სარკმლიდან ხელის გულივით მოჩანს. დღეს ამ ადგილებს ვეღარ იცნობ, — თქვა ბატონმა შალვამ. — შვილიშვილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობს და მუშაობას მეზობლად აპირებს. მითხრა, რომ ჩვენს რაიონში შენდება ფერადი ტელევიზორების დიდი ქარხანა. წამიკითხავს დიდი დიღმის — ახალი საცხოვრებელი მასივის შესახებ, რომელშიც დაახლოებით 200 ათასი თბილისელი იცხოვრებს. ჩვენ საბურთალოელები სამჯერ მეტი ვიქნებით. და ყველას მინდა ვუსურვო პატიოსნად ვიშრომოთ, დოვლათი არ გამოგვლეოდეთ და მშვიდობითა და მეგობრობით ვცხოვროთ. სწორედ ამას აძლევენ ხმას დღეს საბჭოთა ადამიანები.

საბურთალოს რაიონს, ისევე როგორც ქალაქის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს აქვს თავისი ციფრული მაჩვენებლები. მხოლოდ ერთს შევახსენებთ. აქ სწავლობს რესპუბლიკის ყველა მესამე სტუდენტი. ასობით მათგანი კი ცხოვრობს რაიონში მდებარე ახალ საერთო საცხოვრებლებში. ეს ნათლად იგრძნობა თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის ყველა საარჩევნო უბანში, სადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კენჭს იყრიან საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია. აქ ყველგან ბევრი ახალგაზრდაა. ისინი რწმენით აძლევენ ხმას მომავალს — თავიანთ, თავიანთი ქალაქის, რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის მომავალს. (საქინფორმი).

სოხუმი

აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში დილის 6 საათზე გაიღო 285-ე საარჩევნო უბნის კარი. სოხუმის ფ. ძერჟინსკის სახელობის მე-12 საშუალო სკოლაში, სადაც მოთავსებულია კრუპსკაიას № 49 საარჩევნო უბანი, საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ერქომაიშვილმა ამომრჩევლები ხმის მისაცემად მიიწვია. ბიულეტენები პირველმა მიიღეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა ე. ბიგვავამ და ვ. კოლსკამ, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ არჩევნებში.

— სულითა და გულით ვაძლევთ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს,—განაცხადეს მათ,— დარწმუნებულნი ვართ, რომ ამით ხმას ვაძლევთ საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოსა და კიდევ უფრო უკეთეს მომავალს. საარჩევნო ყუთში ბიულეტენი ერთ-ერთმა პირველმა ჩაუშვა სამამულო ომისა და შრომის ვეტერანმა ვ. ისლამოვმა.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სახელოვანი ადამიანები, საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები საარჩევნო უბანში დილაადრიან გამოცხადდნენ. 86 წლის ღვაწლმოსილმა კოლმეურნემ მანჩა საქანიამ ბიულეტენები ყუთში ჩაუშვა და თქვა: მინდა დღეგრძელობა ვუსურვო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს კ. უ. ჩერნენკოს, პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას იმისათვის, რომ ისინი დაუღალავად იბრძვიან მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერი მომავლისათვის. გვახარებს, რომ აფხაზეთის სსრ ავტონომიურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჩებრიკოვთან, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივან ბ. ადლეიბასთან, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. დუმბაძესთან, გამოჩენილ აფხაზ პოეტ ბ. შინკუბასთან და სხვებთან ერთად ხმას ვაძლევთ ჩვენი კოლმეურნეობის თავკაცს, ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ხაკობეი აიბას.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ბათუმი

აჭარის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ისე შეხვდნენ, როგორც დიდ პოლიტიკურ მოვლენას და სახალხო დღესასწაულს შეეფერება. მათ ცოტა რამ როდი აქვთ საამაყო და სასიხარულო. წინა არჩევნებიდან დღემდე სამშობლომ აჭარისაგან გეგმის გადამეტებით მიიღო 33 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 164 ათასი ტონა ციტრუსი. მრეწველობაში გეგმის გადამეტებით წარმოებულია 102 მილიონი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 25 პროცენტით, ავტონომიურ რესპუბლიკას შეემატა ახალი სკოლები, საავადმყოფოები, ფაბრიკა-ქარხნები, დასასვენებელი სახლები. ასეთია საერთო წარმატებანი. აი, ამიტომაც აჭარის მშრომელები სიხარულით აძლევდნენ ხმას მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, ხალხის რჩეულებს.

გუშინ მთელ ავტონომიურ რესპუბლიკაში განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო. შრომაში გამორჩეული ადამიანები მოიჩქაროდნენ საარჩევნო უბნებისაკენ. დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული იყვნენ ჩვენი საზოგადოების საუკეთესო შვილები — გემთმშენებელი ა. დარსალია, მეჩაიეები ც. მოწყობილი და მ. დავითაძე, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი და სხვები, რომლებმაც თავდადებული შრომით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი ოპერატორი, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თ. დოლიძე ხსნის მენავთობეთა კულტურის სახლში მდებარე № 1 საარჩევნო უბნის კარებს. ერთ-ერთი პირველი ხმას აძლევს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ვეტერანი, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი შ. კილაძე. აი პეტრე აბრამიანის ოჯახიც მოვიდა ხმის მისაცემად. არა მარტო პეტრე, არამედ მისი მეუღლეც და შვილებიც მუშაობენ ამ საწარმოში, რომელსაც არჩევნების წინ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიაკუთვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

აჭარის მთელ ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ორგანიზებულად ჩაიარა. დილის 10 საათისათვის ხმა უკვე მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 57 პროცენტს, ხოლო 12 საათისათვის — 80 პროცენტს.

არჩევნებში ერთსულოვანი მონაწილეობით აჭარის მშრომელებმა ნათლად გამოხატეს თავიანთი ერთგულება, ნდობა და მხარდაჭერა მშობლიური კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ცხინვალი

სადღესასწაულოდ მორთული ქალაქი, მუსიკა, ღიმილით გაცისკროვნებული სახეები — აი ასე გამოიყურება ცხინვალი არჩევნების დღეს. დილაადრიან დაიძრა ხალხი საარჩევნო უბნებისაკენ, რომელთა რიცხვი ახლა ქალაქში სამჯერ მეტია, ვიდრე წინა არჩევნების დროს იყო. ერთ-ერთი უბანი საქალაქო აღმასკომის შენობაში მდებარეობს.

აი მოიჩქარის სამი ქალიშვილი. როგორც ჩანს, ისინი პირველად მონაწილეობენ არჩევნებში.

— მე და ჩემი ამხანაგი ზალინა ბიჩინოვა მართლაც პირველად ვაძლევთ ხმას, ჩემი და ალა კი ჯერ არ არის თვრამეტი წლის, — თქვა ჟანა გობოზოვამ.

— რატომ მოხვედით სამივე ერთად?

— ერთ ბრიგადაში ვმუშაობთ გასული წლის აგვისტოდან ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკაში. მას შემდეგ ერთად ვართ როგორც სადაგ, ისე სადღესასწაულო დღეებში. სხვათა შორის, მთელი ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდულია. ეს გასაგებიცაა, ფაბრიკას ხომ ახლახან შეუსრულდა ორი წელი, ჩვენთან კი ძირითადად სკოლის მერხიდან მოსული ქალიშვილები მუშაობენ.

— თქვენ ცხინვალელები ხართ?

— აქ დაიბადა და გაიზარდა ზალინა, მე და ალა კი სოფელ ხელჩუიდან ვართ. სხვათა შორის, ჩვენი დეპუტატობის კანდიდატი მეზობელი სოფლის მკვიდრია. ხელჩუიდან სოფელ ქერემდე, სადაც არის მისურათ ტეხოვა, ორი ნაბიჯია. მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ბევრი რამ კარგი მსმენია მის შესახებ თანასოფლელებისაგან, წამიკითხავს გაზეთებში. შემთხვევით როდი ასახელებენ მას, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის ჩამჭრელს, ზედიზედ მეორედ ქვეყნის პარლამენტში.

— ამბობენ, ოდესღაც ქალები ცხინვალში უფრო ხშირად დამლაგებლებად მუშაობდნენ, — ჩაება საუბარში ზალინა. ახლა სულ სხვაა. მარტო ჩვენთან ფაბრიკაში ათასზე მეტი ქალია. ახლა დაუმატეთ სამკერვალო ფაბრიკა, სადაც ასევე ძირითადად ქალები მუშაობენ, სხვა საწარმოები. დღეს ყველაზე გავრცელებული ქალის პროფესია ალბათ მოტორისტი მკერავია.

წინა არჩევნების შემდეგ ახალი პროფესიები მარტო ქალებმა როდი შეიძინეს. მწყობრში ჩადგა ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი საწარმო. სხვა ქარხნები და ფაბრიკები, სადაც მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებია საჭირო. ისინი სჭირდებათ კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროსამმართველოში, ბევრ სხვა ობიექტზე.

...თანდათან დაბინდდა. ამომრჩეველთა უმრავლესობამ უკვე მოიხადა თავისი კონსტიტუციური მოვალეობა. ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში ისევ ხალხმრავლობაა, არჩევნები ხომ დღესასწაულია.

(საქინფორმი).

ქუთაისი

დილაადრიან გაიღვიძა ქუთაისმა. მისი ქუჩები და მოედნები ხალისიანმა ჟრიამულმა აავსო. ყველანი საარჩევნო უბნებისაკენ მიიჩქარიან, რათა განახორციელონ საბჭოთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ქუთაისელ მშრომელებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის მშრომელთა არჩევნებისწინა კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლამ, რომელშიც ყოველმხრივ არის გაანალიზებული ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები, დასახულია შემდგომი მუშაობის ამოცანები.

სასახელო მაჩვენებლები მოიპოვეს ქუთაისელმა მშრომელებმა წინასაარჩევნო შრომით ვახტზე. ავტომშენებლებმა, ელექტრომექანიკოსებმა, მელითონეებმა, მკერავებმა, ავტოტრანსპორტის მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

საარჩევნო უბანი №38. იგი მოთავსებულია 32-ე საშუალო სკოლის შენობაში, რომელიც სახელოვან ავტომშენებელთა უბანში მდებარეობს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ა. გვაზავა ამომრჩევლებს ხმის მისაცემად იწვევს. ყველაზე ადრე აქ მაინც ახალგაზრდა ამომრჩევლები —ავტომშენებლები ნ. მელქაძე და ო. აბულაძე გამოცხადდნენ. მათთან ერთად მოვიდნენ მხცოვანი ადამიანები, პენსიონერები მ. განიევი, ნ. სამხარაძე. ახალგაზრდა ამომრჩეველმა ნ. მელქაძემ ეს საშუალო სასწავლებელი შარშან დაამთავრა და წელს პირველად მონაწილეობს არჩევნებში. ამიტომაც მისი ადრიანად მოსვლა არავის გაჰკვირვებია, თუმცა საარჩევნო ბიულეტენების მიღება მან თავაზიანად მოხუცებს დაუთმო.

— ხმას ვაძლევ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, — ერთსულოვნად განაცხადეს პენსიონერებმა,— ამით ხმას ვაძლევთ მშვიდობას მთელ მსოფლიოში, ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლასა და ბედნიერებას.

ამომრჩევლებს პატრიოტული სიტყვით მიმართა სახელოვანმა ავტომშენებელმა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატმა ჯიმშერ გუგავამ.

№ 8 საარჩევნო უბანი ლითოფონის ქარხნის კულტურის სასახლეშია მოთავსებული. აქ ამომრჩეველთა სიაში 1896 კაცია აღრიცხული. მათ შორის 26 ამომრჩეველი პირველად მონაწილეობს არჩევნებში. ამომრჩეველთა შორის მოწყობილმა წინასაარჩევნო მასობრივ-პოლიტიკურმა მუშაობამ ამომრჩეველთა დიდი აქტივობა უზრუნველყო. აქ ერთ-ერთი პირველნი გამოცხადდნენ 90 წლის ანა გუწაძე და 84 წლის სერგო ლოსაბერიძე, აქვე არიან ახალგაზრდა ამომრჩევლებიც. შრომის ვეტერანმა ს. ლოსაბერიძემ ბიულეტენის ყუთში ჩაშვებისას განაცხადა:

— არაფერი ისე არ მაფიქრებს ამ ქვეყნად, როგორც მშვიდობის საქმე. ვიცი, რომ იმპერიალისტები ესწრაფვიან თავიანთი ავი ზრახვების განხორციელებას. მაგრამ ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავენ მშვიდობის კურსს და ამით უზრუნველყოფენ საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომასა და მოღვაწეობას. და მეც სწორედ ამიტომ ვაძლევ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ქუთაისის საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ძირითადად დღის პირველ ნახევარში დამთავრდა.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

რუსთავი

...ზუსტად შვიდ საათზე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო გაანათა ნადნობის კაშკაშა სხივმა. წამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის გოდერძი ფანჩვიძისა და მისი ხელქვეითების მიერ გამოდნობილი ლითონი. ამავე დროს მისმა კოლეგამ — სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ოთარ ლომიძემ ქარხნის საარჩევნო უბანში ხმა მისცა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში თავის მონაცვლეს.

— მე კარგად ვიცნობ გოდერძის, — თქვა ოთარ ალექსანდრეს ძემ. — დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის რჩეული რთულ მოვალეობებს იგი ღირსეულად შეასრულებს.

იმ დროს, როცა გოდერძი ფანჩვიძე, რომელმაც მარტენის საამქროში წლის დამდეგიდან გამოდნობილ 2,5 ათას ტონა ზეგეგმითი ფოლადს დავალების დამატებით კიდევ ათობით ტონა ლითონი დაუმატა, ცვლას აბარებდა, საარჩევნო უბანში სულ უფრო მეტი ხალხი მოდიოდა.

— ხმას ვაძლევ პირველად, — ამაყად თქვა სატუმბავ-საკომპრესორო მილების ქიროების საწარმოო უბნის მილების მჭრელმა მალხაზ ხაჩიძემ — ხმას ვაძლევ განსაკუთრებული სიხარულით. რადგან მჯერა, რომ სასიკეთო ცვლილებები ჩვენს საწარმოში, რომელიც ჩემთვის უკვე მშობლიური გახდა, იმატებს.

რუსთავის უდიდესი საწარმოები უწყვეტი ციკლის საწარმოებია. სწორედ ამიტომ ქალაქის საარჩევნო უბნებში დღის განმავლობაში შესამჩნევი თავისებური „მოქცევა" და „უკუქცევა". აქეთ მოიჩქარიან ხმის მისაცემად ისინი, ვინც ღამის ცვლა დაამთავრა. და ისინი, ვინც მალე სამუშაო სპეცტანსაცმელს ჩაიცვამს და ადგილებს დაიკავებს მარტენებთან, სამართავ პულტებთან საწარმოო გაერთიანებების „აზოტისა" და „ქიმბოჭკოს" საამქროებში, ქალაქის მშენებლობებზე.

მუშათა ქალაქმა რუსთავმა ერთსულოვნად მისცა ხმა პარტიისა და ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს. (საქინფორმი).

სურათებზე: თბილისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონის № 8/40 საარჩევნო უბანი. ხმას პირველად აძლევენ ახალგაზრდა ამომრჩევლები — უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი მ. აზდარიძე და თბილისის № 27 თბომეურნეობის მემანქანე მ. რატიაშვილი; დუშეთის № 106/57 საარჩევნო უბანი. რაიონის ამომრჩევლები ამ დღეს გაახარა დუშეთის კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა; თბილისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ორჯონიკიძის რაიონის № 17/54 საარჩევნო უბანში ამომრჩევლები ბიულეტენებს იღებენ.

ხ. ქილაძის, ი. დავითაშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

რეალური საქმის კურსი

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

მიმდინარე წლის მარტო იანვარში თბილისის მრეწველობამ გეგმის დამატებით გამოუშვა სამ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია და დაზოგა თითქმის მილიონი მანეთის რესურსები. ასეთია შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის საქართველოს დედაქალაქში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღწეული წარმატება თებერვალში განმტკიცებულია.

ყოველნაირად შეუწყონ ხელი შრომითი ინიციატივის შემდგომ განვითარებას, უზრუნველყონ მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები წარმოების ეფექტიანობის გადიდების დაძაბულ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის — ასე აღიქვეს საქართველოს დედაქალაქის კომუნისტებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმის მითითება წლის დამდეგიდან განსაზღვრული სამუშაო რიტმის შენარჩუნების საჭიროების შესახებ. აღებულია ცოცხალი, რეალური საქმის, შეუჩერებელი წინსვლის კურსი. და იმისათვის, რომ ამ წინსვლამ რაც შეიძლება დიდი საბოლოო შედეგები მოგვცეს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა, რომლებმაც განიხილეს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით, ერთხელ კიდევ გააანალიზეს საქმის ვითარება ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, შეუჯერეს მიღწეული ახალ მოთხოვნებს.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ, კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთსულოვნად მიესალმებიან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის, ლენინური ტიპის უდიდესი ორგანიზატორის, პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ურყევი მებრძოლის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს არჩევის შესახებ.

თბილისელებს კარგად ახსოვთ გულითადი შეხვედრები კონსტანტინე უსტინის ძესთან იმ დაუვიწყარ დღეებში, როცა იგი იყო ჩვენს ქალაქში, რომლის საპატიო მოქალაქეც იგი არის, გულთბილი რჩევა-დარიგებანი და სურვილები, რომლებიც მან გამოთქვა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქისათვის ლენინის ორდენის გადმოცემის დროს წარმოთქმულ სიტყვაში.

ხელმძღვანელობენ რა ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებით და დასკვნებით, კომუნისტები, თბილისის პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ მეცადინეობას და ყურადღებას უთმობენ შექმნილი კოლექტიური გამოცდილების ოპტიმალურ გამოყენებას, მასების ენერგიისა და შემოქმედებითი პოტენციალის წარმართვას ქალაქის XXXIX პარტკონფერენციის მიერ წამოყენებული ამოცანების რეალიზაციისათვის.

საქალაქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის დამდეგიდან გაწეული მუშაობის შესახებ დასკვნები არაერთმნიშვნელობიანია.

ერთი მხრივ — ეს არის წარმოების ინტენსიფიკაციისათვის, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად გაძლიერებული სოციალისტური შეჯიბრება; ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოზიტიური ტენდენციები, რომლებიც მკვიდრდება. მეორე მხრივ — შესამჩნევი ჩამორჩენა მთელ რიგ უბნებზე, სერიოზული ხარვეზები, რომლებსაც საქალაქო კომიტეტის პლენუმზე პრინციპული შეფასება მიეცა. აღინიშნა, რომ უაღრესად საჭიროა განვავრცოთ მუშაობა წარმოების ინტენსიფიკაციის რეზერვებისა და შესაძლებლობათა ძიებისათვის, იმისათვის, რომ მივაღწიოთ წარმოების ზრდის ტემპის მთლიანად ხუთწლედისათვის ნაკისრ ვალდებულებათა დონეს. სერიოზული საყვედურები გამოითქვა იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც დაუშვეს გეგმების კორექტირება მათი შემცირების მიზნით, საწარმოო სიმძლავრეთა არასრული დატვირთვა, გარღვევა მათ შესაძლებლობებსა და რეალურ უკუგებას შორის. ყურადღება მიექცა იმას, რომ პარტიის ზოგიერთ რაიკომს საკმაოდ აქტიური პოზიცია არ უკავია ამ პრობლემების გადაწყვეტისას.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქალაქში 40 პროცენტით გაიზარდა იანვარში ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. ძირითადი მაჩვენებლების საგეგმო დავალებანი ყველა სატრესტო ორგანიზაციამ შეასრულა. მაგრამ, საერთოდ განვითარების დადებითი დინამიკის მიუხედავად, კაპიტალური მშენებლობის სფერო კვლავ ყველაზე მეტ წუხილს იწვევს. სამშენებლო ორგანიზაციების უმრავლესობამ მიმდინარე წლის პროგრამის რეალიზაცია დაიწყო საჭირო მარაგნაკეთობის გარეშე და, მაშასადამე, სამუშაოთა საჭირო ფრონტის გარეშე. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ „მექანიზაციის" ტრესტმა, „თბილისქალაქმშენის" გაერთიანების შესაბამისმა ქვედანაყოფებმა ვერ უზრუნველყვეს მიწის სათხრელ სამუშაოთა ფორსირება, ნულოვანი ციკლების მოწყობის დაჩქარება. ამის შედეგად მიწის სათხრელი სამუშაოები არ დაწყებულა მწყობრში ჩასაყენებელ ნახევარზე მეტ საბავშვო ბაღებში, ნულოვანი ციკლები არ არის მოწყობილი მეტ წილ საცხოვრებელ სახლებში, რომლებიც წლის პირველ ნახევარში უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ზამთრის პირობებში სამუშაოდ ცუდად მომზადებული აღმოჩნდა სამშენებლო მოედნები. ყველა ამ ნაკლისათვის, არაშორსმჭვრეტელობისა და უყაირათობისათვის სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების შესაბამისი ხელმძღვანელები, რომლებზეც დამოკიდებულია მშენებლობებზე საქმის ვითარება, პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს.

პლენუმმა პარტიის რაიკომებს, მრეწველობის, მშენებლობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მიზნად დაუსახა მარტში უზრუნველყონ ყველაზე ენერგიულ ღონისძიებათა განხორციელება, რათა აანაზღაურონ ცალკეულ უბნებზე დაშვებული ჩამორჩენა, აღმოფხვრან ხარვეზები სამეურნეო მუშაობაში.

პლენუმზე ითქვა, რომ თბილისის პარტიული კომიტეტები სავსებით უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნას — თავიდან აიცილონ დუბლირება პარტიული და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. აღინიშნა, რომ პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტები კვლავაც ყოველმხრივ დაეხმარებიან სამეურნეო ხელმძღვანელებს, ოღონდ სრულიადაც არ აპირებენ მათი მაგივრობა გასწიონ შიდაუწყებრივი, უშუალოდ მათს კომპეტენციაში შემავალ საკითხთა გადაწყვეტის დროს. ამასთანავე პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც მეორე უკიდურესობაში გადავარდნაა საჭირო: ჩაკირკიტებით გარკვევა და დაზუსტება იმისა, ამა თუ იმ მტკივნეული და თავსამტვრევი საკითხის გადაწყვეტა პარტიული კომიტეტის ფუნქციაში შედის თუ ეს სამეურნეო ხელმძღვანელების ამოცანაა. ფუნქციების გამიჯვნა საჭიროა, მაგრამ მედავითნეობა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში მხოლოდ ზიანის მომტანია.

საქალაქო კომიტეტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დისციპლინის დაცვის საკითხებს. იანვარში ამ მაჩვენებელმა ქალაქის მრეწველობაში 99 პროცენტს მიაღწია, რაც ყველაზე მაღალი დონეა ამ მაჩვენებლის შემოღების მთელი დროის მანძილზე. ამასთან პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ საწარმოებს, რომლებმაც ვერ შეასრულეს მიწოდების გეგმა, ამ საწარმოთა პირველადს პარტორგანიზაციებს, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების აპარატს მოსთხოვა შექმნან შეურიგებლობის ვითარება ასეთი დარღვევების მიმართ, თავიდან აიცილონ ისინი, მკაცრად მოკითხონ იმათ, ვისი მიზეზითაც ეს მოხდა, საქალაქო პარტკონფერენციის მითითების საფუძველზე მიწოდების ვალდებულებათა შეუსრულებლობის თითოეული შემთხვევა შეაფასონ, როგორც პარტიული დისციპლინის უხეში დარღვევა.

საქალაქო კომიტეტის პლენუმზე ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ საჭიროა დისციპლინის შემდგომი განმტკიცება ყველა მისი გამოვლინებით, ორგანიზებულობისა და წესრიგის გაუმჯობესება. სავსებით იზიარებენ რა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ გამოთქმულ დებულებას იმის შესახებ, „რომ ყოველგვარ მოდუნებას, უპასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის მარტო მატერიალური ზარალი როდი მოაქვს. ისინი სერიოზულ სოციალურ, ზნეობრივ ზიანსაც გვაყენებენ".

პარტიის პოლიტიკის უმაღლესი მიზანია ადამიანის კეთილდღეობა. საქალაქო კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის უცვლელ მოთხოვნას — ვიზრუნოთ და ყურადღებით მოვეკიდოთ ადამიანებს — ნიადაგ უნდა იცავდეს თითოეული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკი, თითოეული თანამდებობის პირი. უგულებელობა მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი, ბიუროკრატიზმი მთელი სიმკაცრით უნდა ამოვძირკვოთ.

პლენუმზე განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ცალკეული სამსახურების მუშაობასთან, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანონ წლევანდელი ზამთრის გაკვეთილებიდან და მომავალში მაქსიმალურად გამორიცხონ უწესრიგობა, ობიექტური სიძნელეები. ამ თვალსაზრისით ითქვა ისიც, რომ ქალაქის თითოეულმა უწყებამ და ორგანიზაციამ თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ქალაქის გარეგნული იერსახის გაუმჯობესებაში, მის კეთილმოწყობაში, მოსახლეობისათვის კომუნალური მომსახურების დონის ამაღლებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით რვაჯერ დაჯილდოებულ ქალაქ თბილისის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომლებიც მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საქმით უპასუხონ მათი შრომის მაღალ შეფასებას, ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის დავალებათა განხორციელებაში. (საქინფორმი).

---

4 მარტი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

[illegible] იუწყება

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია:

კონსტრუქციული პოზიცია

ნიუ-იორკი. სოციალისტური ქვეყნები მხარს უჭერენ იმას, რომ სასწრაფოდ შემუშავდეს საერთაშორისო-სამართლებრივი დაბრკოლებები სამხედრო კონფლიქტების გაჩაღებისა და იარაღის დახმარებით სადაო საკითხების გადაწყვეტის ცდების გზაზე. ამ პოზიციას ისინი თანამიმდევრულად იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის ეფექტიანი პრინციპების გაძლიერების სპეციალურ კომიტეტში, რომლის მორიგი სესია მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში.

სესიის განსახილველად წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის მიერ შეთავაზებული საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების პროექტი.

უნგრეთის წარმომადგენელმა ფ. სომოგიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა აქტუალურია კომიტეტის მუშაობა და თქვა, რომ იმპერიალისტური წრეების ცდებმა დაარღვიონ შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული ბალანსი და მიაღწიონ სამხედრო უპირატესობას, სერიოზულად გაამწვავეს ვითარება მსოფლიოში. დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება ეწინააღმდეგება ყველა ხალხის ინტერესებს, განაცხადა მან. მსოფლიო ხელშეკრულების დადება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბირთვული კონფლიქტის გაზრდილი საფრთხის პირობებში. ასეთი ხელშეკრულება კონსტრუქციული ღონისძიება იქნება მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ძალის გამოუყენებლობის პრინციპის ეფექტიანობის გაძლიერების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო დროს, განაცხადა ბულგარეთის წარმომადგენელმა ი. გარვალოვმა. მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების პოლიტიკის მიზანია მდგომარეობის დესტაბილიზაცია ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში. დაძაბულობის შენელების გზაა უარი ვთქვათ ძალის გამოყენებასა და შანტაჟის მეთოდებზე, განვახორციელოთ ნდობის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი. ორატორმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მიერ ნაკისრ ვალდებულებას ცალმხრივი წესით პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

იმპერიალისტური წრეების სხვა სახელმწიფოების საქმეში ჩარევის კურსი დაგმო კუბის დელეგატმა ო. ვალდესმა. ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრა გრენადაში, ხაზგასმით თქვა მან, ძალის გამოუყენებლობის პრინციპის უხეში დარღვევის მაგალითია. მსოფლიო გაერთიანებამ, თქვა ო. ვალდესმა, საჭიროა შეიმუშაოს სამართლებრივი დოკუმენტი რომელიც კანონგარეშე გამოაცხადებს ძალის გამოყენებას და ნებისმიერი სახეობის იარაღის, მათ შორის ბირთვული იარაღის, გამოყენებას.

რუმინეთის წარმომადგენელმა ი. დიაკონუმ მხარი დაუჭირა იდეას დადოს საყოველთაო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ და აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა სახელმწიფომ იკისროს მტკიცე ვალდებულება, სადაო საკითხები გადაჭრას მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

● იუგოსლავია

მეგობრული ურთიერთობის სტაბილური განვითარება

ბელგრადი. მოსკოვში ერთობ ამომწურავი მოლაპარაკება გაიმართა ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ და საერთაშორისო ვითარების პრობლემებზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შევხვდით და ვესაუბრეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს კ. უ. ჩერნენკოს, განაცხადა სსრ კავშირიდან ბელგრადში დაბრუნებისას იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ძარკოვიჩმა. მოლაპარაკება გვქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ვ. ვ. კუზნეცოვთან და მის კოლეგებთან. ყველა ჩვენმა შეხვედრამ გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მოლაპარაკება კი გულახდილი იყო და მიზნად ისახავდა ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღვნიშნეთ, რომ ჩვენმა თანამშრომლობამ მაღალ დონეს მიაღწია სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში, რომ არის მისი შემდგომი გაფართოების შესაძლებლობანი. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობა ემყარება თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობის, ჩაურევლობისა და ურთიერთპატივისცემის ცნობილ პრინციპებს, რომლებიც დამკვიდრებულია ბელგრადის 1955 წლის დეკლარაციაში და მოსკოვის 1956 წლის დეკლარაციასა და განცხადებაში, ორივე ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელთა შეხვედრების დროს მიღებულ სხვა დოკუმენტებში. გამოცდილებამ ცხადყო, და ჩვენ ეს აღვნიშნეთ, რომ ამ პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობა გრძელვადიანია, რადგან უზრუნველყოფს ერთობ ფართო თანამშრომლობას მომავალში.

ჩვენმა მოლაპარაკებამ ცხადყო, აღნიშნა ვ. ძარკოვიჩმა, რომ მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე იდენტური ან მსგავსი თვალსაზრისი გვაქვს. ბუნებრივია, რომ არსებობს ორი ქვეყნის სხვადასხვა საერთაშორისო მდგომარეობითა და სხვა გარემოებებით გამოწვეული გარკვეული განსხვავებანიც. ისინი დაბრკოლებას არ უქმნიან მეგობრული ურთიერთობის სტაბილურ განვითარებას.

● მონღოლეთი

მთავრობის განცხადება

ულან-ბატორი. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნის ხალხებისათვის, უეჭველად, ხელს შეუწყობდა მშვიდობისა და უშიშროების საქმის განმტკიცებას აზიასა და მთელ მსოფლიოში, ნათქვამია აქ გავრცელებულ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში. სწორედ ამიტომაც, აღნიშნულია დოკუმენტში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის პოლიტიკურ კონსულტაციებს, რომლებიც ახლა მიმდინარეობს.

მაგრამ, ნათქვამია განცხადებაში, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტი, რომ კონსულტაციების მსვლელობისას ჩინეთის მხარე აყენებს სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მთელ რიგ წინასწარ პირობებს. მათ შორისაა საკითხი, რომელიც მთლიანად ეხება სახალხო მონღოლეთის საშინაო კომპეტენციას და ლახავს მის სუვერენულ უფლებებს. ეს არის მოთხოვნა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან გაიყვანონ საბჭოთა ჯარის ნაწილები, რომლებიც მის ტერიტორიაზე დროებით იმყოფებიან.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია განცხადებაში, კატეგორიულად უარყოფს ჩინეთის მხარის ამ მოთხოვნას. როგორც არა ერთხელ აღნიშნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, საბჭოთა ჯარის ნაწილები იმყოფებიან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მხოლოდ მისი მთავრობის თხოვნით, მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მშვიდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისად. ჩინეთის მხარისათვის კარგადაა ცნობილი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათი შეყვანის ნამდვილი მიზეზები. იმის მტკიცება, თითქოს მათი მონღოლეთის ტერიტორიაზე ყოფნა საფრთხეს უქმნიდეს ჩინეთის უშიშროებას, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საბჭოთა სამხედრო ნაწილების ყოფნა მონღოლეთში მხოლოდ მისი საშინაო საქმეა და ეხება მარტო მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ამიტომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიიდან მათი გაყვანის საკითხი არ უნდა იყოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის პოლიტიკურ კონსულტაციებზე განხილვის საგანი. სრულიად ნათელია აგრეთვე, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილების ყოფნა მონღოლეთში არ შეიძლება მივიჩნიოთ დაბრკოლებად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე.

რაც შეეხება მონღოლეთ-ჩინეთის ურთიერთობას, ნათქვამია დასასრულ განცხადებაში, აქ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ხელმძღვანელობს რა თავისი პრინციპული, თანმიმდევრული და მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით, ყოველთვის უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს იმას, რომ აღდგეს და განვითარდეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, თანასწორუფლებიანობის, ძალის გამოუყენებლობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **კაირო. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან, ესე იგი სადათის მიერ „ღია კარის" ეკონომიკური პოლიტიკის გამოცხადების შემდეგ ეგვიპტის საგარეო ვალი 11-ჯერ გაიზარდა.** ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის მოხსენებით, ყოველწლიურად ქვეყნის საგარეო ვალი იზრდება საშუალოდ 30 პროცენტზე მეტით. ამ თანხის გაანგარიშებით საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე, ეგვიპტის 46 მილიონი მოქალაქიდან თითოეულს უცხოელი კრედიტორების 420 დოლარი ვალი აქვს, რაც აღემატება შემოსავლის საშუალო დონეს.

მძიმე ტვირთად აწევს ეგვიპტის ეკონომიკას ყოველწლიური პროცენტებისა და მორიგი შესატანების გადახდა დავალიანების დასაფარავად.

● **ბრაზილია. ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟ. ფიგეირედუმ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება საერთაშორისო დაძაბულობისა და გამალებული ბირთვული შეიარაღების გაძლიერების გამო, რომელიც კაცობრიობის არსებობას ემუქრება.** ეროვნული კონგრესისადმი ყოველწლიურ წერილში მან აღნიშნა, რომ კონფლიქტები, რომლებიც გრძელდება ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში, სამხრეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ხელს უშლიან აქტუალური სამშვიდობო პრობლემების გადაწყვეტას. ბრაზილია, აღნიშნა მან, აცხადებს, რომ ურყევად იცავს სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ხალხების თვითგამორკვევის, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმის, დიალოგისა და მოლაპარაკების პრინციპებს.

● **ტოკიო. მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის ეკონომიკური პოლიტიკა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სინტარო აბემ.** პარლამენტის ქვედა პალატის მინისტრების კაბინეტის საქმეთა კომისიაში გამოსვლისას, მან განაცხადა, რომ ივნისში დაგეგმილ შვიდი წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოს მეთაურების მორიგ შეხვედრაზე, რომელიც ლონდონში გაიმართება, იაპონია შეეცდება მიაღწიოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მისი ბანკის დისკონტების მაღალი დონის შენარჩუნების პოლიტიკის გადასინჯვას. ამას მოითხოვს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, განაცხადა ს. აბემ.

ფოტოინფორმაცია

● ნიკარაგუა

სანდინისტური შეიარაღებული ძალები საკადრის პასუხს სცემენ სომოსელი დაქირავებულების ყოველგვარ ცდას, შეიჭრნენ ნიკარაგუის ტერიტორიაზე.

სურათზე: სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლები (მარცხნიდან) — პაბლო მარტინესი, ანრიკე მარტინესი და პედრო რამონ ხოლესი, რომლებმაც თავი ისახელეს კონტრრევოლუციურ ნაძირალებთან ბრძოლაში.

[illegible] ფოტო.

● თურქეთი

პარლამენტის გადაწყვეტილება

ანკარა. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ (პარლამენტი) მიიღო გადაწყვეტილება, კიდევ ოთხი თვით გააგრძელოს საგანგებო წესები თურქეთის 67-დან 54 პროვინციაში. ეს საგანგებო წესები გამოცხადდა 1980 წლის სექტემბერში ხელისუფლების სათავეში სამხედროების დადგომის შემდეგ, რომლებმაც ამავე დროს დაითხოვეს წინა პარლამენტი, აკრძალეს ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ტ. ოზალმა განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს თანდათან შეცვალოს საგანგებო წესები მთელ თურქეთში.

საერთაშორისო კომენტარი

უაზრო ომი

თითქმის 3,5 წელიწადია გრძელდება ირან-ერაყის სისხლისმღვრელი ომი. 22 თებერვალს ირანის ჯარებმა ფართო მასშტაბით შეუტიეს ფრონტის სამხრეთ უბანს. უცხოეთის პრესის შეფასებით, საომარ მოქმედებაში მონაწილეობს ორივე მხარის რამდენიმე ასეული ათასი კაცი. შეტევებსაც და თავდაცვითებსაც დაუხოციათ და დაუჭრიათ ათი ათასობით კაცი. განადგურებულია მრავალი საბრძოლო ტექნიკა — ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ქვემეხები, ჰაერიდან დაბომბვამ და საარტილერიო ცეცხლმა უდიდესი ზიანი მიაყენა სამოქალაქო ობიექტებსა და ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებს.

ომმა მნიშვნელოვნად გაართულა ერაყისა და ირანის საშინაო პრობლემები, მკვეთრად შეამცირა მათი ნავთობის ექსპორტი და ორივე ქვეყანა ფინანსური და ეკონომიკური კატასტროფის პირას მიიყვანა. ამ ომის უაზრობა ორივე ქვეყნისათვის ცხადია. და მიუხედავად ამისა პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალების მთელი მეცადინეობა მიაღწიონ მის შეწყვეტას აქამდე უშედეგო აღმოჩნდა. ამაში მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვის იმპერიალიზმის პოლიტიკას, რომელიც ხელმძღვანელობს პრინციპით „გათიშე და იბატონე". ძმათამკვლელი კონფლიქტი არა მარტო ასუსტებს ერაყისა და ირანის პოზიციებს კაპიტალისტური მონოპოლიების ზეგავლენისადმი წინააღმდეგობაში, არამედ თიშავს ისრაელ-ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბრძოლის ფრონტს.

ორმუზის სრუტით ნავთობის გადაზიდვის დაცვის საბაბით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა სპარსეთის ყურის რაიონში თავი მოუყარეს მთელ სამხედრო-საზღვაო არმადას. ამერიკის ავიამზიდ „მიდუეის" მეთაურობით, დაახლოებით 30 კრეისერი, საესკადრო ნაღმოსანი და სადესანტო ხომალდი ამზადებს ინტერვენციას ამ რეგიონის ხალხების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად მხარს უჭერს ირან-ერაყის კონფლიქტის შეწყვეტას, ახლო აღმოსავლეთის რაიონის მშვიდობიან განვითარებასა და აქ მდებარე სახელმწიფოების სუვერენიტეტის განმტკიცებას, ილაშქრებს იმპერიალისტური ძალების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ხელი მოითბონ ირან-ერაყის კონფლიქტზე, გამოიყენონ იგი ახლო და შუა აღმოსავლეთში სამხედრო-პოლიტიკური შეღწევის გაძლიერებისათვის, ამ რეგიონში ვითარების შემდგომი დესტაბილიზაციისათვის.

განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს

გვაკლია დაწყებითი სკოლის მასწავლებლები

რეფორმა სერიოზულ ამოცანებს უსახავს პედაგოგიურ ინსტიტუტებს მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადების, მასწავლებელთა დახმარებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დონის შემდგომი სრულყოფისათვის. პროექტში ვკითხულობთ: „საჭიროა მივაღწიოთ კვლევის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. უფრო აქტიურად დავნერგოთ მისი შედეგები პრაქტიკაში"... მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლას, პროპაგანდასა და დანერგვას. არ დავუშვათ არც უგულებელმყოფელი დამოკიდებულება ნოვატორული წამოწყებებისადმი, არც მათი მექანიკური, მოუფიქრებელი გავრცელება".

იმისათვის, რომ უმაღლესმა სკოლამ ღრმა თეორიული ცოდნით და მტკიცე პრაქტიკული ჩვევებით შეიარაღებული მომავალი მასწავლებელი აღზარდოს, პროექტი ითვალისწინებს პედაგოგიური ინსტიტუტების სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების გადამუშავებას, რათა „უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ისინი ცხოვრების მოთხოვნებს". ახლანდელი სასწავლო გეგმა კი ერთგვარად ბორკავს სპეციალისტის მომზადების საქმეს. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ბევრ საგანს სწავლობს, მაგრამ თავისი მომავალი სპეციალობის საგნებს — საჭირო სიღრმითა და სიმტკიცით — არა. ჩვენს რესპუბლიკაში გაჩნდა სხვა თავისებური პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტა, სკოლის რეფორმის ღონისძიებათა განხორციელების პროცესში უნდა გადაწყდეს. ცნობილია, რომ 25 წლის წინათ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კადრებს ამზადებდა 50-ზე მეტი პედაგოგიური სასწავლებელი (ტექნიკუმი), 1957-1958 სასწავლო წელს დაიხურა ეს საშუალო ტიპის პედაგოგიური სასწავლებლები, რომლებიც ცუდად როდი ამზადებდნენ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, და რესპუბლიკის შვიდ პედაგოგიურ ინსტიტუტთან (თბილისში, გორში, თელავში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში) გაიხსნა დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი (ამჟამად „პედაგოგიური ფაკულტეტი").

ამ ფაკულტეტმა 25 წლის განმავლობაში უდიდესი როლი შეასრულა დაწყებითი კლასებისათვის უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა კადრების აღზრდის საქმეში. მაგრამ უკანასკნელ წლებში თანდათან მცირდება ამ ფაკულტეტზე კონტინგენტის მიღება და ზოგან (გორში, თელავში) სრულიად შეწყდა დაწყებითი კლასებისათვის მასწავლებელთა მომზადება. უკანასკნელ ხანს საქმე ისე მიდის, რომ ზოგან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს — პედაგოგიური განათლების მიუღებლად — პირდაპირ აგზავნიან დაწყებითი კლასების მასწავლებლად. ამჟამად ხელთა გვაქვს ცნობები რესპუბლიკის 6 რაიონის დაწყებით კლასებში მომუშავე მასწავლებელთა რაოდენობისა და განათლების შესახებ. ირკვევა, რომ თითქმის ნახევარს არა აქვს დამთავრებული დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი (დამთავრებული აქვს სხვა ფაკულტეტი, ან ადრე პედაგოგიური სასწავლებელი დაუმთავრებია, ან მხოლოდ საშუალო სკოლა და ისე მუშაობს).

დაწყებითი სკოლა, სახალხო განათლების ეს ფუძეთა ფუძე, როცა რეფორმით ოთხწლიანი ხდება, სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

შემოგვაქვს წინადადებები:

გაიზარდოს მისაღები კონტინგენტის რაოდენობა პედაგოგიურ ფაკულტეტზე აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში;

აღდგეს ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი;

გაიხსნას პედაგოგიური სასწავლებლები გორსა და კახეთის რეგიონში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

ვ. რამიშვილი,

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის კათედრის გამგე, პროფესორი.

სიმყუდროვეც საჭიროა

სასკოლო რეფორმა ბევრ სიკეთეს პირდება ჩვენს მოზარდებს. ამიტომ მიიღო მის განხილვაში ასეთი გულმხურვალე მონაწილეობა მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. რეფორმის არსი და სულისკვეთება ის არის, რომ შეაყვაროს ბავშვს სწავლა და შრომა. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ მას უნდა უყვარდეს ის ადგილიც, სადაც სწავლობს და შრომობს, — სკოლა.

32 წელია საშუალო სკოლა დავამთავრე და ისევ მახსოვს და მიყვარს ჩემი საკლასო ოთახი, დაფა, აღმოსავლეთისაკენ გამავალი ფანჯრები, განიერი რაფები ყვავილების ქოთნებით, ჰოლანდიური ღუმელი. როგორც ახლობელი ადამიანი, ისე მომნატრებია ხოლმე ის ჩემი მერხი, რომელსაც რამდენიმე წელი ვუჯექი...

ახლა სკოლაში რომ მომიხდება შესვლა, ვხედავ შესვენებებზე დიდ ჯგუფებად როგორ მიდი-მოდიან ჩანთააკიდებული მოსწავლეები. გადადიან სართულით კლასიდან კლასში, სართულიდან სართულზე...

რა ვქნა და, მე მაინც არ მომწონს სწავლების ეს „კაბინეტური სისტემა". კაბინეტები ჩვენს სკოლაშიც იყო: ფიზიკის, ქიმიის, ბოტანიკა-ზოოლოგიის, ბიოლოგიის, მაგრამ ჩვენი საკლასო ოთახი გვქონდა. განა აუცილებელია მშობლიური ლიტერატურის, თუნდაც ისტორიის კაბინეტები? დამხმარე რუკა, ატლასი თუ სხვა თვალსაჩინოება ხომ შეიძლება საგნის მასწავლებელმა შემოიტანოს?

ჩემი აზრით, უნდა დავფიქრდეთ ამაზე. მოსწავლეს თავისი, საკუთარი ადგილი სჭირდება, სადაც თავს მყუდროდ, შინაურად გრძნობს. სჭირდება თავისი შეჩვეული მერხი (მახსოვს, ზოგჯერ შესვენების წუთებში გადაცილებით რომ ვიმეორებდით მომდევნო გაკვეთილს).

მეტად მნიშვნელოვანია გაკვეთილების განრიგის საკითხიც. ამ ბოლო დროს რატომღაც ტრადიციად იქცა მასწავლებლის პენსიაზე გასვლა და მერე მუშაობის გაგრძელება. თუ ესა და ეს პენსიონერი მასწავლებელი სკოლას სჭირდება, რადგან წლებს მისთვის ხალისი და ენერგია არ წაურთმევიათ, ამ შემთხვევაში რა გვეთქმის. მაგრამ ზოგჯერ რომ სხედან და თვლემენ! თან ეხვეწებიან სკოლის დირექტორს, გაკვეთილები 2-3 დღეზე დაგვიგეგმეთო. იმიტომ, რომ იმ ორ-სამ დღეში მოიმორონ და მერე სკოლას 3-4 დღეს აღარ გაეკარონ.

ნამდვილად შეგებრალებათ ბავშვები, მათი გაკვეთილების ცხრილი რომ ნახოთ. რა ქნას ყმაწვილმა, რომელსაც ერთ დღეს აქვს ენაც და ლიტერატურაც, ალგებრაც და გეომეტრიაც?

იქნებ, რეფორმის პროექტში კაბინეტურ სისტემაზე და გაკვეთილების ცხრილის საგულდაგულო შედგენის თაობაზეც თქმულიყო უფრო კონკრეტულად?

მ. ელიაძე.

ქ. ბათუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს პილოტ-ინსტრუქტორის ამხ. შ. ნ. ჯვარიშეიშვილის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გმირული საფრენოსნო ოსტატობისათვის და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს პილოტ-ინსტრუქტორი ამხ. შოთა ნოეს ძე ჯვარიშეიშვილი დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 1 მარტი.

გილოცავთ!

უკვე გამოჩნდა განათებული მოსკოვი, როცა ქუთაისიდან დედაქალაქს მიმავალი თვითმფრინავის კაბინაში სიგნალიზატორებმა ეკიპაჟს აუწყეს, მარცხენა შასი არ ეშვებაო. ლაინერში 167 მგზავრი იყო, აქედან სამი ბავშვი. უკვე ნახევარი საათის შემდეგ ისინი ყველანი მშვიდობიანად დაეშვნენ მიწაზე, ამასთან არა ავარიული, არამედ ჩვეულებრივი ტრაპით...

ხომალდის მეთაურის შოთა ნოეს ძე ჯვარიშეიშვილისა და მისი ეკიპაჟის გამოცდილებამ, ოსტატობამ და მამაცობამ ხელი შეუწყო ავიატორებს ურთულეს ავარიულ პირობებში მშვიდობით დაესვათ თვითმფრინავი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ჯვარიშეიშვილს ხომ 16 ათას საათზე მეტი უფრენია, აუთვისებია ათობით ურთულესი ტრასა. თვითმფრინავის ეკიპაჟის, მისი მეთაურის მამაცობისა და ოსტატობის შესახებ წერდნენ ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთები.

სამშობლოს მაღალ ჯილდოს ვულოცავთ პილოტ-ინსტრუქტორს, აეროფლოტის ფრიადოსანს, „საპატიო ნიშნის" ორდენოსანს შ. ნ. ჯვარიშეიშვილს. მასთან ერთად ამ სიხარულს სამართლიანად იზიარებს მთელი სახელოვანი ეკიპაჟი. (საქინფორმი).

თბილისი, 4 მარტი

სურათზე: ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სასახლის სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „სიხარული" (ქორეოგრაფი — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ვ. აბაშიძე) გამოდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის № 58/14 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა წინაშე.

ხ. ქილაძის ფოტო.

საქართველოდან — ზიჩის სამშობლოში

საქართველოს უნგრეთთან ურთიერთობის საკმაო ხნის ისტორია აქვს. უნგრეთის გზით საქართველო დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. საქართველოც უნგრელებისთვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. არაერთხელ სწვევიან ქართულ მიწას უნგრეთის წარმომადგენლები. უამრავ სტუმართაგან საქართველოსათვის ყველაზე ძვირფასი მაინც მიხაი ზიჩი იყო. იგი ორჯერ ეწვია ჩვენს ქვეყანას — 1881 და 1888 წლებში. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს უნგრელმა მხატვარმა. ზიჩის უყვარდა ქართველები, დიდ პატივს სცემდა მათ. 1882 წელს იგი თავის ძმას ქართველების შესახებ ასე სწერდა: „თუკი ვინმე მათ სამსახურს გაუწევს, ისინი ყოველთვის მზად არიან გადაუხადონ მას ეს სამსახური, რათაც კი ძალა შესწევთ, თანაც ამას აკეთებენ უნაზესი მეგობრული გრძნობით. მოკლედ, ძალიან კარგი ხალხია". მიხაი ზიჩიმ არა მარტო დაასურათა „ვეფხისტყაოსანი", არამედ დიდად შეუწყო ხელი და „აიძულა" კიდეც უნგრელი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ფოლკლორისტი ბელა ვიკარი, ლექსად ეთარგმნა შოთა რუსთაველის ეს უკვდავი პოემა. უნგრელი მწერლის არპად ზემპლენის სიტყვით „კავკასიის ვარსკვლავისათვის" ბელა ვიკარს მიხაი ზიჩიმ მიაქცევინა ყურადღება".

ოთხი ქართული ასოსაგან შემდგარი უნგრელი მხატვრის გვარი — ზიჩი, მიწერილი თვით მხატვრის მიერ „ვეფხისტყაოსნის" თავისავე ილუსტრაციებზე, მეტად პოპულარულია ჩვენში, იგი სურათებთან ერთად შეიყვარა და შეისისხლხორცა ქართველმა კაცმა.

იანვრის ბოლოს ვერცხლისფერმა საჰაერო ლაინერმა მოსკოვიდან უნგრეთის დედაქალაქისაკენ აიღო გეზი. თვითმფრინავს უნგრელებისათვის საინტერესო ექსპონატები მიჰქონდა. ეს იყო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რუსული ხელოვნებისა და კულტურის განყოფილების ფონდებში დაცული მიხაი ზიჩის ნამუშევრები.

საქართველოდან ჩატანილი ზიჩის ნამუშევრები გამოფინეს საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში, სულ წარმოდგენილი იყო 50 ნამუშევარი, აქედან 11 საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან, დანარჩენი კი უნგრეთის სახელმწიფო გალერეიდან და ზიჩის სახლ-მუზეუმიდან.

საქართველოდან ჩატანილ ნამუშევრებში შედიოდა „სატანაილი" (ომის ალეგორია) და „ვეფხისტყაოსნის" უნგრელთათვის ნაკლებად ცნობილი ათი გრაფიკული ესკიზი: „თინათინის ტახტზე აყვანა", „როსტევან მეფის ნადირობა", „ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა", „ნადიმი ფარსადანთან", „ტარიელი ნესტან-დარეჯანთან", „ნესტან-დარეჯანის გატაცება", „ნესტან-დარეჯანი ფატმანთან", „ნესტან-დარეჯანის მეფესთან მიყვანა", „ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება" და „საზეიმო სვლა".

გამოფენაზე იყო ზიჩის მიერ ილუსტრირებული წიგნები, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი", და ნივთები, რომლებიც საქართველოდან წაიღო მხატვარმა: ქამარ-ხანჯლები, სატევარი, აღმოსავლური ჩიბუხი, ღვინის სასმისები და სხვ.

გამოფენის გახსნაზე თავი მოიყარეს მეცნიერებისა და კულტურის სახლის თანამშრომლებმა, მხატვრებმა, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის წარმომადგენლებმა. გახსნის წინ ჟურნალისტებისათვის მოეწყო პრესკონფერენცია. გამოფენა გახსნა ეროვნული გალერეის გენერალურმა დირექტორმა ლორანდ ბერეცმა.

ექსპოზიციის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა უნგრეთის რადიომ, ტელევიზიამ და პრესამ.

უნგრეთის კულტურის მუშაკებთან ერთად ვეწვიეთ ზიჩის მშობლიურ სოფელ ზალას, დავათვალიერეთ მხატვრის სახლ-მუზეუმი, სადაც ერთ-ერთ დარბაზს ქართული ოთახი ეწოდება.

მიხაი ზიჩის გამოფენა ბუდაპეშტში 20 მარტამდე გასტანს.

ე. ალექსანდრია,
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რუსული ხელოვნებისა და კულტურის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, სამუშაო დღე 9 მარტი გადატანილ იქნეს კვირას, 11 მარტს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 8, 9 და 10 მარტს მეცადინეობები არ ჩატარდება, მეცადინეობა განახლდება 11 მარტიდან. (საქინფორმი).

ბანძა დიდი სოფელია...

დიახ, იყო ასეთი სიმღერა ბანძაზე. ქართველებთან ერთად აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. კარგი საქმე წამოიწყო რაიონის ხელმძღვანელობამ, როცა ბანძის ძველი შენობები კაპიტალურად შეაკეთა და აღადგინა. აქ მოთავსდა სამომხმარებლო კოოპერაციის კანტორა, ავეჯის მაღაზია და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. აშენდა ავტომოსაცდელი მგზავრებისათვის, მოეწყო გზები, ბორდიურები, გაზონები, დაიდგა ღამის განათების ლამპიონები, დაირგო მარადმწვანე ხეები და ბუჩქები. წლეულს დამთავრდება 400 მაყურებლისათვის გათვალისწინებული კლუბის მშენებლობა: ჩაის ფაბრიკის ყოფილი საცხოვრებელი სახლის ორსართულიანი შენობა კაპიტალურად შეკეთდება და აქ ქორწინების სახლი და სამხატვრო-საგამოფენო გალერეა მოთავსდება.

მიმდინარეობს დიდი ჭყონის, კურზუს, მუხურჩის, ვედიდკარის, გაჭედილისა და გეგეჭკორის რაიონის სხვა სოფლების კეთილმოწყობაც.

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

დედაქალაქის თეატრალური აფიშა

„ჯაყოს ხიზნები"— მარჯანიშვილელთა ახალი სპექტაკლი

მრწამსის ერთგულება

თემურ ჩხეიძის ინტერესი მიხეილ ჯავახიშვილის პროზისადმი („ქალის ტვირთი" — რუსთაველის თეატრში", „ჯაყოს ხიზნები" და „თეთრი კურდღელი" — ტელევიზიაში, ისევ „ჯაყოს ხიზნები" — მოსკოვის სამხატვრო თეატრში და, ბოლოს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში) გვაუწყებს, რომ მას სოციალური პრობლემების ფსიქოლოგიურ ასპექტში წარმოჩინება აინტერესებს. ამისათვის ის მაღალმხატვრულ ქართულ ლიტერატურას მიმართავს და მიხეილ ჯავახიშვილის პროზაში დრამატურგიულ პოტენციას გრძნობს. მართლაც, ამ მწერლის გმირები ხომ ან საკუთარ თავს ებრძვიან, ან ერთმანეთს. კიდეც გამოირკვა, რომ მათი ცხოვრების გათამაშება სათეატრო დადგმაშიც შესაძლებელია და სატელევიზიოშიც. „ჯაყოს ხიზნების" სცენური ვარიანტი (ავტორები — თ. გოდერძიშვილი და თ. ჩხეიძე) არ იწვევს უკმარისობის იმ გრძნობას, ჩვეულებრივ რომ გვეუფლება ხოლმე პროზის სცენაზე ხილვისას.

სპექტაკლში შიგადაშიგ აღმოცენებული თხრობითი ელემენტები, მეტ-ნაკლები დატვირთვით ეკისრება ზოგიერთ პირს. ასეთ წუთებში მსახიობი გამოეთიშება მისი გმირის ცხოვრების ბუნებრივ დინებას, მწერლის აზრებს მწერლისავე სიტყვით მოგვაწოდებს და კვლავ ჩაერთვება თავისი გმირის ცხოვრებაში. გასცენიურებულ პროზაში ამგვარი „გამორთვა" ბუნებრივია.

მხატვარმა გ. მესხიშვილმა სპექტაკლის გმირები ირიბ კუთხედ შეკრულ ორ კედელს შუა დაასახლა — ეკლესიაც აქაა, თეიმურაზ ხევისთავის უბადრუკი საცხოვრებელიც, ნაშინდარიც, ეზოც, შარაგზაც, დუქანიც... გაიჩინა, რომელი კუთხე-კედელი ან ძონწად შერჩეული ავეჯი დასჭირდებათ მოქმედ პირებს. გ. მესხიშვილის ეს სამყარო ნახატსაც მოიცავს, ნაგებობასაც, ავეჯსაც, ნივთსაც. განსხვავებულად, სხვადასხვა საჭიროებისათვის, მაგრამ ყველა ჩართულია მოქმედ პირთა ცხოვრებაში: შუაზე გახეთქილი კედლის ყველაზე მაღალ კუთხეში დროთა ქარტეხილებისაგან გაფერმკრთალებულ ფრესკაზე მანდილოსანია გამოსახული. მისი სახე მხოლოდ დასაწყისში მოჩანს გამოკვეთილად. ზარის ხმასთან ერთად სულიერ სისპეტაკესა და გამძლეობაზე ფაქიზი მინიშნებით იწყებს იგი სპექტაკლს, რომლის უმთავრესი თემა სწორედ ადამიანის სულის სიძლიერეა. კედლის მეორე ნახევარზე, ქვემო კუთხეში, მუქად მონიშნული მამაკაცი გ. ჩუბუაშვილის ჯაყოს ჩამოჰგავს. იმ ჯაყოს, ცოლ-ქმარს შუა მაგიდას რომ მისჯდომია და ხევისთავების უკანასკნელ ლუკმას ნთქავს ხარბად. მეორე მოქმედებაში იმავე მაგიდაზე დაემხობა აქვითინებული მარგო, რომელმაც საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს არჩევანი თეიმურაზსა და ჯაყოს შორის. ამ მაგიდას გამოაცლის წიხლით მისი პასუხის შეყოვნებით გაგულისებული ჯაყო და ყაფლანიშვილის ასულს მიწაზე დაანარცხებს... აი, დაძონძილ თოკზე გადებული საქანელა, რომელზედაც ჯაყო შეაგდებს დაჭრილი ფრინველივით მთრთოლვარე მარგოს, ფრთაგამლილი რომ გადმოეშვება სიბნელის უფსკრულში, — იქ კი ჯაყო გამბლართულა და ნებივრობს. შემდეგ ამ საქანელაზე მარგო თვითონვე მოკალათდება და ჯაყოს განმანათლებლად მოგვევლინება; იგივე საქანელა კინაღამ თეიმურაზის სახრჩობელადაც გადაიქცა...

ხევისთავთა წარსული ცხოვრების ნიშნები ირიბ კედელზეა შემორჩენილან: სურათები, წიგნები, ხატები, სანთლები, ჯაყოსა და მარგოს ჯვრისწერისას რომ აინთებიან და ეკლესიას დაამსგავსებენ აქაურობას. მიწას მოწყვეტილი, კედელს აკრული ნაშთი ძველი დიდებისა, ძალაგამოცლილია, მაგრამ მაინც ლამაზი და მაინც ცოცხალი, მრავალი სამო ასოციაციის გამომწვევი... ძნელი წარმოსადგენია სოციალურისა და ფსიქოლოგიურის უკეთესი შერწყმა სცენოგრაფიაში.

ადამიანები, ამ გარემოში რომ სახლობენ, ლამაზად ჩაცმული არ არიან. მათი ცხოვრების ამბავი გამორიცხავს ამას, მაგრამ სამოსელი, რომელიც ყოველი მათგანისათვის შეთხზა მხატვარმა, გმირთან ერთად ცოცხლობს და მრავალ მნიშვნელოვანს რამეს გვაუწყებს. მაგალითად: როგორ შეიცვალა მარგოს ცხოვრებისეულ თვალსაზრისთან ერთად მისი გარეგნობა: ნაცვლად ინგლისური ყაიდის ზღვა-თეთრი სამოსელისა, გულამოღებული წითელი ხავერდის ზედატანი, ყელზე მსხვილი მძივი. შემდეგ — ალაგ-ალაგ დაკერებული, რუხი სოფლური კაბა, თავსაფარი და ზურგზე მოკიდებული ტვირთი... სამგვარი სამოსელი — ადამიანის ცხოვრების ცხადი სურათი.. ასევე ყველა დანარჩენიც, იმ დროის შეძლებული ოჯახის კუთვნილება—ვენური სკამი. ასეთ სკამზე ზის საგონებელში ჩავარდნილი, ნამუსახდილი მარგო და დუმს. მის სულში ახლა საშინელი ბრძოლაა— მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მისი ცხოვრების შემდგომ მიმდინარეობას რომ განაპირობებს. მეორე მოქმედებაში, უკვე ძალადობას შეგუებული მარგო, ვაშლით ხელში ისევ ამ სკამზე მოკალათდება, მეორეზე კი ფეხებს შემოაწყობს, რითაც ენით აუწერელ გოლცებს გამოიწვევს თეიმურაზში. ეს საქციელიც დაარწმუნებს მალე თეიმურაზს, რომ მარგომ მის თავს მართლა არჩია ჯაყო. ამ სპექტაკლში ყველაფერი მიზეზობრივ კავშირშია, ყოველივე წინარე, — მომდევნოს შემამზადებელი. ასე იქმნება გმირთა ცხოვრების რთული კავშირების უწყვეტი დინება — ყველაზე ძნელი სცენის ხელოვნებაში.

გმირის სცენური სიცოცხლის ხანგრძლივობის მიუხედავად, სპექტაკლის ყველა მონაწილე მიზნად ისახავს მის წარმოჩინებას განვითარების პროცესში. ამ საერთო მიზანსწრაფვაში ყოველი მსახიობი, ცხადია, განსხვავებული სირთულის წინაშეა, ეს სირთულე მოიცავს არა მარტო რომანის გმირის სცენური განხორციელების მუდმივ სირთულეს და ყოველი ცალკეული როლის თავისებურ სირთულეებს, არამედ იმ კონკრეტულ ვითარებებს, „ჯაყოს ხიზნების" დადგმას რომ უძღოდა წინ. მაგალითად, ნ. მგალობლიშვილმა მანამდე უკვე ითამაშა თეიმურაზ ხევისთავი ამავე ნაწარმოების სატელევიზიო დადგმაში. ეს, ერთი მხრივ, თითქოს აადვილებს მსახიობის მდგომარეობას, მაგრამ, მეორე მხრივ, ართულებს კიდეც, სატელევიზიო დადგმა დიდად განსხვავდება სათეატრო დადგმისაგან. სულიერ ძალთა ხარჯვა ცალკეული ეპიზოდების გადაღებისას ერთია, მთელი როლის ერთ საღამოში წარმოჩინების დროს — სულ სხვა. თეიმურაზი კი თითქმის არ გადის სცენიდან, თანაც მისი ცხოვრების ყველა მონაკვეთი უკიდურესად დაძაბულია. ამგვარი ცხოვრება მსახიობისაგან მოითხოვს არა მარტო სულიერ და ფიზიკურ ძალთა უდიდეს ხარჯვას, არამედ ფერთა სიმრავლეს და მათ ზუსტ განაწილებას. სხვაგვარად მაყურებლის ყურადღებას ვერ დაიპყრობ. ვინაც უკვე რამდენჯერმე ნახა ნ. მგალობლიშვილის თეიმურაზი სცენაზე, უთუოდ შენიშნავდა, თუ როგორ იხვეწება თანდათან მისი ცხოვრების ყოველი ეპიზოდი, როგორ ნაწილდება მახვილები, რა ნაირფერია სხვა მოქმედ პირებთან მისი კავშირები. როგორ ემსახურება ყოველი წვრილმანი გმირის ცხოვრების მძიმე გზის გავლას ნაწარმოების დედააზრის საკეთილდღეოდ. თეიმურაზთან ერთად გაიხსენეთ მისივე ჰაკი აძბა და იაგო და სავსებით ნათელი გახდება, რომ ნ. მგალობლიშვილის სახით ქართულ თეატრს დღეს შესანიშნავი მსახიობი ჰყავს.

გ. ჩუბუაშვილს ჯაყოს ტოლფასი როლი მარჯანიშვილის თეატრში არ შეუსრულებია. მართალია, მისი შინაგანი ძალის გაელვებანი შეიმჩნეოდა „ჰაკი აძბაშიც", ტელეფილმშიც „წიგნი ფიცისა" და „ოტელოშიც", მაგრამ ასეთი ტვირთი, ჯაყოს რომ აკისრია, სცენაზე ამ მსახიობს ჯერ არ უზიდია. მოერია ამ ტვირთს გ. ჩუბუაშვილი. მისი ჯაყო ძლიერია (მარგოს დამონებისთვის აუცილებელია ასეთი მამაკაცური ძლიერება. ავტორი მოითხოვს ამას). საშინელია ის ძალა, რომელიც იგრძნობა გ. ჩუბუაშვილის ჯაყოში, განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, მით უფრო აუცილებელი — მასთან შებრძოლება. შემოქმედებითად ძლიერი ახალი მსახიობის დაბადება ყველა სპექტაკლის ფასდაუდებელი ღირსება, სიხარულია თეატრისა და მაყურებლისათვის.

გ. ციციშვილი, ჯაყოს როლის კიდევ ერთი შემსრულებელი, გამოცდილი მსახიობიცაა და მაყურებლისთვის ცნობილიც. მაგრამ ამ როლს, ზოგ ადგილებში, წინააღმდეგობად აღემართა მსახიობის კეთილი თვალები და თანდაყოლილი ადამიანური სითბო, გარკვეული დროა საჭირო იმისათვის რომ ეს პიროვნული თვისებები მსახიობმა ან დაჩრდილოს, ან როგორმე მხატვრულ სახეს შეუგუოს.

ივანეს როლის შემსრულებელ დ. დვალიშვილს ავტორის მაგივრობაც აკისრია და თანამედროვეობისკენ თეიმურაზის შემობრუნების აქტიური ცდაც, ყველაზე მწვავე კამათი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ადამიანის აუცილებელი კავშირის შესახებ მათ შორის მიმდინარეობს. ასეთ დროს არსებობს საშიშროება კამათის მხოლოდ სიტყვიერ შეპაექრებად გადაქცევისა. აქ ეს არ ხდება, ვინაიდან თვით ამოცანა დგას სცენურ ასპექტში — ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მხოლოდ განსხვავებული აზრები, არამედ განსხვავებული ადამიანური მისწრაფებანი. ასე რომ, თვით ამოცანაა აქტიური და ქმედითი. ესოდენ რთულ ამოცანას დ. დვალიშვილი ახორციელებს მისთვის შეჩვეულ პარტნიორებთან. ახალახან გადმოვიდა იგი სხვა თეატრიდან, მაგრამ ეს სპექტაკლში არ იგრძნობა, ალბათ იმიტომ, რომ დ. დვალიშვილისათვის დამახასიათებელი დიდი შინაგანი სიმართლე და პარტნიორის სიყვარული მარჯანიშვილის თეატრის ერთი უპირველესი ნიშანდობლიობაა.

მარგოსთან შეხვედრამდე ნ. ჩიქვანიძეს უკვე ჰქონდა ნათამაშები რამდენიმე ერთმანეთის მონათესავე დრამატული როლი, რაც ბუნებრივია ქმნის გამომსახველ საშუალებათა გამეორების საშიშროებას. მოხდა საპირისპირო — ნ. ჩიქვანიძის მარგომ შეისრუტა ყველა ადრინდელი მონაპოვარი და ახალ თვისებაში წარმოჩინდა. ნ. ჩიქვანიძის ეს ქმნილება საგანგებო მსჯელობის საგნად შეიძლება გახდეს იმათთვის, ვინც დაინტერესებულია სცენური სახის მხატვრული მთლიანობის, დიდი შინაგანი განცდის, სიტყვისა და მდუმარების, ხასიათის განვითარების და მისი პლასტიკური გამოვლინების პრობლემებით.

ამ სპექტაკლის არა მარტო წამყვანი გმირები, არამედ ყველა მოქმედი პირი (ნინიკა — თ. კილაძე, თედო — მ. კიკალეიშვილი, ილა — ვ. კვიტაიშვილი, მღვდელი — ჭ. მონიავა, ნინა — მ. ტატიშვილი, ნ. გელაძე, ჭიშელა — ნ. სტურუა) აქტიურია. უდიდესი სოციალური ძვრებია შემოჭრილი მათ ცხოვრებაში და ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. ავტორის მიერ შერჩეული ეს ვითარება უკიდურეს ემოციურ დატვირთვას მოითხოვს თეატრისაგან.

რა გზას ირჩევს რეჟისორი თ. ჩხეიძე ამ აუცილებლობის სცენაზე გამოსავლენებლად? ყველაზე ძნელს — მოვლენის ხატის შექმნას და მაყურებლისათვის მისი ამოცნობის მინდობას. ამოცნობაა ის თავისებური შემოქმედებითი აქტი, მაყურებლის წარმოსახვის უნარს რომ გამოიხმობს ხოლმე და ამით უკიდურესად აახლოებს მას სცენის ხელოვანის შემოქმედებასთან. დარბაზში მყოფთა ეს უჩვეულო შინაგანი დატვირთულობა ხან სულგანაბული სიჩუმით ვლინდება, ხან ტაშით, ხან იმ უძვირფასესი სულიერი აღზევებით, ტაშის ამოხეთქამდე რომ განვიცდით.

მიხეილ ჯავახიშვილის ამ ნაწარმოების გმირთა ცხოვრებაში ისეთი მოვლენები ხდება, უხეშობას რომ ვერ ილევს. მაგრამ ავტორის ურთგულესი რეჟისორიც კი საკუთარ ხელწერას ვერ გაექცევა. თ. ჩხეიძის რეჟისორული ხელწერა ფაქიზია, ნატიფი. უყვარს სიზუსტე და ნახატის დასრულება ქაღალდიდან ფანქრის მოუცილებლად. „ჯაყოს ხიზნების" ფინალზე გადაღება რომ შეიძლებოდეს და შენელებული დატრიალება, განსაკუთრებულ რასმე დავინახავდით: ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში უწყვეტ ნაკადად იშლება გმირთა ცხოვრება. იგი მოიცავს —ყველაფერს, რაც ამ სპექტაკლში სახილველიცაა და მოსასმენიც: ფერი, ხაზი, მსახიობთა სხეულებით გამოძერწილი მიზანსცენა, მათ ბაგეთაგან მომდინარე სიტყვა მწერლისა. განსხვავებული, მაგრამ მუდამ დრამატული ფუნქციის მქონე მუსიკა (კომპოზიტორი — გ. სიხარულიძე), უჩვეულო ქორეოგრაფია (ქორეოგრაფი — თ. ზარეცკი). გაიხსენეთ ის დრამატული ეპიზოდები, სადაც მუსიკა და ქორეოგრაფიაა ჩართული (ჯაყოს ძალადობა და კარის ჭრილში ერთ ადგილზე მოცეკვავე შიშველი კაცი, სკამზე მჯდომი სასოწარკვეთილი მარგოს ხელები), და სავსებით ნათელი გახდება გამომხატველობის რა ძალას იძენს ასე უჩვეულოდ შერწყმული ხმოვანება და მოძრაობა. რატომ ბრწყინავს ამ დროს მაყურებლის თვალზე ცრემლი, რატომ ქრება ტაში და აქ-იქ აღტაცების შეძახილებიც მოისმის? იმიტომ, რომ ასეთ წუთებში განსაკუთრებული მომხიბვლელობით ისმის სცენიდან თ. ჩხეიძის, მოქალაქისა და შემოქმედის მოწოდება — სიკეთის შემძლე ყველა კაცი უნდა იბრძოდეს კიდეც მისი დამკვიდრებისათვის. სხვანაირად არ შეიძლება. ეს ისმის ყველა იმ საკრავის ხმით, მისი ახალი სპექტაკლის სიმფონიაში რომაა ჩართული და ამიტომაც ჟღერს ასეთი ძალით. რეჟისორი ამ მრწამსის ერთგულია.

ნათელა ურუშაძე.

სურათზე: სპექტაკლის სცენა. (მარცხნიდან) მარგო — მსახიობი ნ. ჩიქვანიძე, თეიმურაზი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. მგალობლიშვილი, ჯაყო —მსახიობი გ. ჩუბუაშვილი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ლევიტინა—სემიონოვა

ამ მოჭადრაკეებს ბევრი მიმომხილველი არ ელოდა პრეტენდენტების ასპარეზობის ფინალში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამდენი დაბრკოლება რომ დასძლიო და ფინალამდე მიაღწიო, მართლაც რკინისებური ხასიათი და დიდი საჭადრაკო ერუდიცია უნდა გქონდეს.

ლენინგრადელი **ირინე ლევიტინა** (დაიბადა 1954 წლის 8 ივნისს) ადრე ორჯერ მონაწილეობდა (1972-1975, 1975-1978) პრეტენდენტთა ასპარეზობებში. ერთხელ ფინალამდეც მიაღწია, სადაც მეტად მძაფრ და ხანგრძლივ ბრძოლაში დამარცხდა (8:9) ნანა ალექსანდრიასთან. მესამე, ახლანდელი ცდა, შესაძლოა, უფრო იღბლიანი აღმოჩნდეს. ასეა თუ ისე, მიმომხილველები აღნიშნავენ ლევიტინას უდავო შემოქმედებითს ზრდას, იმასაც, რომ მისი სტილი უფრო რაციონალური გახდა. ლევიტინა ოთხჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, აქედან სამჯერ — ზედიზედ! ყოველივე ამას ლენინგრადელმა მიაღწია, ერთი მხრივ, თავისი დიდი ნიჭის, მეორე მხრივ კი შეუპოვარი და სისტემატური მუშაობის წყალობით. აქ მან გამოიარა გამოცდილი სპეციალისტის სემიონ ფურმანის გაკვეთილები, შემდეგში კი სისტემატური წვრთნა ჩინებულ მეთოდისტთან და თეორეტიკოსთან, ოსტატ პაველ კონდრატიევთან.

რას ფიქრობს ლევიტინა თავის ახლანდელ მეტოქეზე ლიდია სემიონოვაზე?

— ძლიერი მოჭადრაკეა, რომელსაც ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. მე მას დაფასთან არაერთგზის შევხვედრივარ, ამასთან 1978 წელს ერთად გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, როცა ნიკოლაევში პირველ-მეორე ადგილები გავინაწილეთ. მე ზუსტად ვერ მოგახსენებთ, როგორია ჩვენი შეხვედრების ანგარიში, ასეთ აღრიცხვას არ ვაწარმოებ, მაგრამ, ვფიქრობ, იგი კარგი მოჭადრაკის სასარგებლოდ უნდა იყოს. ფინალური მატჩი ჩემთვის ისეთივე მძიმე იქნება, როგორც ადრე გამართული შეხვედრები ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიასთან. იოლ გამარჯვებას ასეთ მაღალ დონეზე მე არ ველი.

ლიდია სემიონოვა (დაიბადა 1951 წლის 22 ნოემბერს) პრეტენდენტთა ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდა და მით უფრო საყურადღებოა, რომ ასეთ წარმატებებს მიაღწია. საერთოდ, თავისი ნამდვილი ძალა მან სწორედ ბოლო წლებში გვიჩვენა. კიეველ მოჭადრაკესთან ახლა თანამშრომლობს დიდოსტატი გენადი კუზმინი (ვოროშილოვგრადი), და ეს ეტყობა კიდეც სემიონოვას თამაშს, კერძოდ, ისევე, როგორც კუზმინი, სემიონოვა ყურადღებას არ ამახვილებს დებიუტზე (სადაც იგი, საყოველთაო აზრით, ლევიტინას ჩამოუვარდება), არამედ აქცენტი შუა თამაშზე გადააქვს. აქ სემიონოვას თავისი ტაქტიკური გამჭრიახობის იმედი აქვს. თუ ზოგადი ერუდიციით, თამაშის ტექნიკით სემიონოვა ვერ მოვა ლევიტინასთან, სამაგიეროდ, უდავოდ აღემატება მას შეუპოვრობით. ისეთ პოზიციებში, რომლებზეც შეიძლება ლევიტინამ ხელი ჩაიქნიოს, სემიონოვა ჯიუტად, დიდი გულისყურით განაგრძობს თამაშს და ზოგჯერ თითქმის სავსებით უიმედო მდგომარეობაშიც კი შეიძლება გამოსავალი მონახოს.

საინტერესოა სემიონოვას აზრი მეტოქის შესახებ.

— ლევიტინა ალექსანდრიაზე ნაკლებად ნიჭიერი არ გეგონოთ, ბუნებით იგი მაქსიმალისტია, ყოველთვის მხოლოდ საუკეთესო სვლას ეძებს, ამას კი, როგორც ცნობილია, ცაიტნოტებისაკენ მივყავართ...

შეიძლება, გულშემატკივრების გაკვირვება გამოიწვიოს ორივე პრეტენდენტის მოკრძალებულმა ადგილმა ეგრეთ წოდებულ „ელოს კოეფიციენტთა ცხრილში", რომელიც იანვრის პირველ რიცხვებში გამოქვეყნდა. აქ ლევიტინა 2245 ქულით ინაწილებს მეცამეტე-მეთოთხმეტე ადგილებს, ხოლო სემიონოვა ოცდამეორეა 2210 ქულით. ასეთი ადგილები აიხსნება დღევანდელი პრეტენდენტების მარცხით ზოგიერთ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირში, უფრო მეტად კი იმით, რომ „ელოს ცხრილში" გათვალისწინებული არ არის მათი წარმატება პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩებში (ისინი ცხრილის მომდევნო 1 ივლისის გამოცემაში აისახება).

მატჩი იწყება სოჭში 6 მარტს. დებულების თანახმად 12 პარტია გაიმართება. თუ ამ შეხვედრებში არ გამოვლინდა გამარჯვებული, დაინიშნება 4 დამატებითი პარტია, თუ აქაც წონასწორობა არ დაირღვა, ყველაფერს ბრმა წილისყრა გადაწყვეტს.

გ. გამრეკელი.

„საბჭოთა ხელოვნება" № 2

გამოვიდა „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი, მეორე ნომერი, იგი იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გარდაცვალების გამო. აქვეა გამოქვეყნებული საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე თებერვლის პლენუმის შესახებ და ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: გ. ჯაბბერიძისა — „ძველი თბილისის ახალი ცხოვრება", ნ. გუდიაშვილის რეცენზია „ო. თაქთაქიშვილის საავტორო კონცერტზე", ნ. გიორგაძისა — „[illegible]", ე. ლონდარიძისა — „ვოკალური მონოლოგები", ი. ბახტაძისა — „ეროვნულ-საკომპოზიტორო სკოლის სათავეებთან", აგრეთვე რ. წურწუმიას, ე. ამაშუკელის, რ. აგამირზაიანის, კ. თორდიას, რ. ჩხეიძის, ვ. ბერიძის, ს. ჩხაიძის და სხვათა მასალები ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

გ. მამუჩაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მსუბუქი მრეწველობის განყოფილების ყოფილი უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, 1940 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გიორგი ისაკის ძე **მამუჩაშვილი**.

გ. ი. მამუჩაშვილი დაიბადა 1903 წლის 12 იანვარს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. შრომითი საქმიანობას ბავშვობიდანვე შეუდგა. თერთმეტი წლისა ზეინკლისა და ხარატის მოწაფე იყო. სწავლობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე, შემდეგ მექანიკის ფაკულტეტზე. 1933 წელს მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, წარმოების უფროსად, მთავარ ინჟინრად, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის დირექტორის პირველ მოადგილედ, მთავარ ინჟინრად.

1941-1947 წლებში გ. მამუჩაშვილი საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარია, შემდეგ კი მინისტრის მოადგილედ მუშაობს.

სხვადასხვა დროს გ. მამუჩაშვილი მუშაობდა გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორად, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ინსპექციის უფროსად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მსუბუქი მრეწველობის განყოფილების უფროსად, სადაც მან 1974 წლამდე — პენსიაზე გასვლამდე იმუშავა.

გ. მამუჩაშვილი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას. იყო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო თბილისის და გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, დაჯილდოებული იყო ორი „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

სპეტაკი კომუნისტის, შესანიშნავი მოქალაქისა და ამხანაგის— გ. ი. მამუჩაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების და ყველა იმათ გულში, ვისთანაც მას უმუშავია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი; საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო.

რედაქტორის მოადგილე ლ. ქიქნაძე.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96.
ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-14, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-54, საბჭოთა მშენებლობის — 93-16-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-26.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36, თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-60; ტყიბული — 25-82.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

5 მარტი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ფილმი — ბავშვებს. 10.40 — კონცერტი. 11.10 — ცხოველთა სამყაროში. 12.10 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. დოკუმენტური ფილმები. 16.55 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — კ. ტრენევი. „ლუბოვ იაროვაია". 18.25 — „რუსეთის ნათხილამურევი". 18.55 — გამოგვეხმაურეთ, მეზუკეებო! 19.25 — კონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საქმე და ადამიანი. 20.35 და 22.35 — მხატვრული ფილმი „ცეცხლის მოთვინიერება". პირველი და მეორე სერია". 22.00—„ვრემია". 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 —დოკუმენტური ფილმი. 9.35 — ს. ორლოვის პოეზია. 10.05 — რუსული ენა. 10.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.00 — ესპანური ენა. 11.30 — საბჭოთა სახვითი ხელოვნება. პ. დ. კორინი. 12.15 — მეცნიერება და ცხოვრება. 12.45 — ვ. სკოტი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები. 14.15 — მეურნეობრიობის სკოლა. 14.45 — ტელენარკვევი „ჩვენი თბილი სახლი". 15.15 — სოფლის საათი. 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. 20.00 — ვემსახურებით საბჭოთა კავშირს. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფილმ-კონცერტი „გამოთხოვება ზაფხულთან". 23.40 — სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. 00.25 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 16.15 — ახალი ამბები (რუსულ ენაზე). 16.25 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.55 — ქართული ხალხური სიმღერები (მ.). 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.50 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის — „გესაუბრებით პროფესიაზე". 18.15 — განცხადებები. 18.20 — „ვერნისაჟი" (მსოფლიო ხელოვნების საგანძური). 18.55 — „კვალი ნათელი" — თინათინ შარაშენიძე. 20.00 — „მოამბე". 20.35 — „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დღევანდელობის მოთხოვნაა". 21.30 — კონცერტი. 21.55 — „ხვალ — ტელეეკრანზე". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ბილიკები ცაში". 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზანგეზური". 16.50 — რეკლამა. 16.55 — მხატვრული ფილმი „დედა". 18.25 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07125 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20